ქართველთ მრეწველნი

I.

გიორგი დავითისძე

ქართველიშვილი

(1830-1901)

თბილისი.

სტამბა კ. თავართქილაძისა ბრენდატ. ა. მუგდუსიაკოფოვი.

1904.

ქართველთ მრეწველნი

I.

გიორგი დავითისძე

ქართველიშვილი

37251

ფ. ჭიჭინაძისა

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
სტამბა კ. თავართქილაძისა
1904.

Доз. цензъ. Тифлисъ, 17 октября 1903 г.

გიორგი ქართველიშვილი

თუ ოდესმე ქართული მწერლობის ისტორია დაიწერა, იქ უეჭველია შესაფერს ადგილს დაიჭერს გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის სახელიც. ამის საფუძვლად საკმარისია ძვირფასად „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამოცემა, გაზეთ „დროების“ გამომცემლობა და მასთან სხვაც ბევრი რამ თვალთ საჩინო საქმენი, რომელნიც ამ წარჩინებულის კაცისაგან გაკეთებულა ჩვენს ქვეყანაში და რაც დიდის სისუფთავით და სიუხვით განთესილა ქართველ გვარის სასარგებლოდ, სადიდებლად და წინ წასაწევად. გიორგი დავითის-ძე ჩვენის დროის კვალად, ქართველთ შორის, იშვიათი პირია, განკერძოებულის თვისების მექონი, მამულიშვილობით სამაგალითო და უსამზღვრო... ვისაც კი ამ პირის პირადი ცნობა ჰქონდა, ის ამაზედ ცხადად დამერწმუნება და გიორგი დავათის ძეს ჩვენის დროის კვალად აღიარებს ერთს უსუფთავეს და თან მისაბაძ მამულისშვილათ. ასეთის თვისებისა იყო გიორგი დავითის-ძე და ასეთსავე აზრებს ჰქადაგებდა იგი ყველგან.

უნდა მოგახსენოთ, რომ როგორაც გიორგი დავითას-ძე მწერლობის ასპარეზედ გამოჩნდება გამომცემლობით, იგი ისევე, თუ კი ოდესმე დაიწერა ქართველი ერის აღებ-მიცემის, ანუ მრეწველობის ისტორია, იქაც გიორგი დავითის ძე ერთს წარჩინებულს ადგილს დაიკავებს. მრეწველობის და აღებ-მიცემის ასპარეზედ იგი მრავალთაგან მისაბაძი პირია, მისი გამოცდილება დი საუბარი ქართველ ერის ვაჭრობითი წარმატებაზედ მეტად საყურადღებოა, აღსანიშნავი და სახსოვნებელი, რადგანაც მისი მცნებანი ქართველი ერისთვის დიდს დარიგებათ ჩაითვლება, დიდს ოსტატობათ, ქართველებში აღებ-მიცემის განმტკიცების ასაღორძინებლად და ერთი-ერთ შორის საცნობლადაც კი, რათა ამ ახლად განღვიძებულის ვაჭ-

რობის ასპარეზედ ქართველ ვაჭარმა, მრეწველმა, ხელოსანმა და მათმა მუშამ იცნან ერთმანერთი, იცნონ ერთმანერთის ავი და კარგი, საქმიანობა, ერთობის მნიშვნელობა და მასთან მის საშუალებით ყოველი ნაირის მხრითაც ვაჭრობის ასპარეზედ დაწინაურობენ.

ასეთ საქმეთა შესახებ გიორგი დავითის ძის საუბარი ჩვენ ხშირად მოგვისმენია, იგი თავიდამ ბოლომდის ამ მიმართვას ეკუთვნოდა, ამაზე ქადაგებდა ყოველთვის და ამიტომ ჩვენც მოვალენი ვართ მის სიტყვით მოთხრობილ აზრები და დავალებანი ბეჭდით ავნუსხოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ანუსხვილს თავისებური მნიშვნელობა არ მოაკლდება და გიორგი დავითის ძეც თავის მამულიშვილობით ღირსეულად გამოჩნდება.

გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილი დაიბადა 1830 წ. 10 გიორგობისთვეს, ქ. თბილისში. მშობლები მისი ირიცხებოდნენ თბილისის მკვიდრ მცხოვრებ მოქალაქეთ, ამიტომ მთელ სიცოცხლის გატარება გიორგის თბილისში მოუხდა, თბილისში გაახილა თვალები, აქ დავაჟკაცდა, საქმის ასპარეზედ აქ გამოვიდა, აქ წადგა ფეხი წინ, აქ შეიმოსა წარმატებით და უკანასკნელ აქვე მიიცვალა. აქედამ კარგად სჩანს, რომ გიორგი დავითის-ძეს მთელს თავის სიცოცხლეში მეტად მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა თბილისის ქართველ აღებ-მიცემის ხალხთან, მრეწველებთან, ხელოსნებთან და მუშებთანაც, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც უამისოდ თბილისში მცხოვრები ქართველი კაცი ვერ იცხოვრებდა, იგი რაც გინდ კარ ჩაკეტილს საქმეში ყოფილიყოს მომწყვდეული, მას მაინც მჭიდრო კავშირი ექნებოდა ქართველ ერის ვაჭრობითი და მრეწველობითი აღორძინების საქმესთან.

გიორგი დავითის.ძის შესახებ ეს რომ ასე იქნებოდა და ჭეშმარიტია, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ გიორგი დავითის-ძემ მეტად კარგად იცოდა თბილისის ქართველთ ვაჭართა და ხელოსანთა ცხოვრება, მათი ავი და კარგი, ზნე,

ასიათი, შეძლება და უქონლობა, მოხერხება და სხვაც მრავალნი რაც კი კაცისათვის აუცილებელს სამკაულ მხარეს შეადგენს, ამიტომ გიორგი დავითის-ძეს თფილისის მცხოვრებ ქართველთ შესახებ მეტად გული სტკიოდა, სწუხდა მათს დაქვეითებაზედ, მათს უძლურებას და არა რაობას. ყოველთვის მწუხარებით უმზერდა განსვენებული და ამბობდა, რომ ქართველნი თავიანთ მამულებს მარჯვნივ და მარცნივ ფანტავენ ისე, რომ თითონაც არ იციან რისთვის, ვისთვის და რათა?! ყოველივე მათ ხელიდამ ეცლებათ მხოლოდ მუცლის, თამაშის და ქეიფობის გამო. რამდენი დიდი გვარის ოჯახი დაეცა ცუდის შვილების მეოხებითა, იტყოდა ხოლმე: სადაც აქამდე მათი სახლების ტახტები ხალიჩით იყო მოფენილი, იქ მის მაგიერ ფარდაგებიც ალარ არისო. ასეთის ოჯახების დაქვეითება იყო დიდი უბედურება თვით ქართველ გლეხთაცაო, რადგანაც უკანასკვნელ დაქვეითებულ ოჯახის შვილნი თავიანთ ყმებს აწვებოდნენ კისერზედ და ბოლოს ბატონი და ყმანიც ერთად ეცემოდნენ ცხოვრების ასპარეზედ, მათი რიცხვი ისპობოდა, ხსენებაც ქრებოდაო.

აი, ამ გარემოებამ დასცა თბილისში ქართველობა, ამან შეამცირა აქ ქართველი და ამ გარემოებამ გახადა იგი სამთლით საძებარი, რომ დღეს თბილისში, ქართველთ ხსენება ასე ნატამალობს, თორემ ეს რომ ასე არ მომხდარიყოს, მაშინ, ჩვენ რალა გაგვიჭირდებოდა, ჩვენს ძველს ოჯახებს რომ თბილისში მამულები შაერჩინათ და თავიანთ მოყმენიც ეძლიერებინათ, დღეს მთელს თბილისში ქართველის ხმა მძლავრათ იქმნებოდა განფენილი. ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე არ იყო, ჩვენ მარტო ჭამასა და გაყიდვას უნდებოდით. ჩვენს განაყიდს სხვები იძენდნენ, ჩვენ კი ხახა მშრალნი და წყალ-წაღებულნი ვშთებოდით.

ქართველი ტომის დაწინაურების შესახებ განსვენებულს ძლიერ უყვარდა საუბარი, ამ საუბრის დროს, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სამწუხარო ამბავი კიდევ მასზედ დიდს

ზეგავლენას ახდენდა, მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. საოცარია ჭეშმარიტად, თუ არ ბუნებითის საშვალებით, ასეთ პირთა საიდამ უნდა ენერგებოდეთ ისეთი უმაღლესი შეხედულება, ასეთი თვისება. მე მიკვირს ისიც ისეთ დროის და თავობის კაცისაგან, რომლის თანამედროვე და თან-დაზრდილნი მხოლოდ ქართველთ დაღუპვის და უარმყოფლობის გზაზედ იდგნენ, რამ გამოიყვანა ეს პირი ასეთის თვისების და ქართველთ მოყვარეობის, ამის პასუხს გვაძლევს მისი ცხოვრების პირობები, სხვა და სხვა გარემოებანი და განსხვავებანი. გიორგი დავითის-ძეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენი ყოველი ავ-კარგიანობა და იგი ამის შესახებ სულ სათითაოდ ჩამოსთვლიდა, უყვარდა საუბარი და მწუხარებით გოდება მასზედ, რამ ქართველისთანა უბადრუკი, წყალ-წაღებული და უპატრონო კავკასიის ტომთა შორის არც ერთი ერიაო.

ჩვენა ვართ რაც ვართ და სულ ჩვენი ბედშავობაო. მოიგონებდა: ნასწავლი კაცები ჩვენ არა გვყავს, გაჩაღებული მწერლობა ჩვენ არ გვაქვს, ვაჭრობა ჩვენს ხელში არ არის, მეურნეობა, მრეწველობა, მოწინავე დიდი გვარის მფარველი კაცებიც გვესპობიან, მათ მაგიერ მათი უხეირო შვილები სჩნდებიან, შეძლება ჩვენ არა გვაქვს, მასთან დროის შესაფერი მოხერხება, ყველაფერში უკან ვრდომილნი და მერე ეს და ამ გვარი მცონარეობა განა ჩვენ შეგვეფერება? რასაკვირველია არა, მაგრამ უბედურება აქ ის არის, რომ ჩვენ ამ უბედურებიდამ გამოსვლას და თავის დახსნას არცა ვფიქრობთ და არც ვცდილობთ, რომ თავი დავიხსნათ. ყველაზედ საყურადღებოთ კი იგი სახავდა შემდეგ გარემოებას, ამ გარემოების განსამარტავად მას შეეძლო მთელი თავის საკუთარი მცნებათა მოსაზრებანი წარმოედგინა. მე აქ ამაზედ ერთობ შორს არ წავალ, მოვიყვან მხოლოდ მის შეხედულებას ქართველთ ტომის ვაჭართა და ვაჭრობის შესახებ, რაც ქართლსა და კახეთშიაც კიმადლობა ღმერთს, ის უკვე წინ არის წასულიო, აიჩას იტყო და ხოლმე კიდევ.

იმერლებს არა უჭირთ რა, მეგრელებმა კარგა ხანია ვაჭრობის ასპარეზედ ნიჭი გამოიჩინეს, ასევე გურულებმა, შავი ზღვის პირას ნავთსაყუდარი ქალაქები მათის რიცხვით არის სავსე, წარმოიდგინეთ, რომ მათ რიცხვს კაცი თვით ადესასა და სხვა ქალაქებშიაც ნახავს, ყველგან შრომის, ვაჭრობის და საagენტო, საკანტორო საქმეებს მისდევენ, სხვა და სხვა საქონლები მრავლად გაქვათ და შემოაქვთ, ეს კიდევ არაფერი, სანაქებო ის არის, რომ ეგინი რუსეთს გარდა თვით საზღვარ გარეთაც მოგზაურობენ. ზოგნი თვით ინგლის, გერმანიას და საფრანგეთშიაც მიდიან. ბაქოს იქით, ბუხარსა. ტაშკენტსა, ავღანისტან და თვით ინდოეთსაც კი მიაღწიეს და ვაჭრობა გამართეს, ჩემის ფიქრით, იტყოდა ხოლმე: ასე წარმატება მათ ზღვის სიახლოვემ შესძლენათ და ევროპიელთ მასვლა მოსვლამ, ნამეტურ გემებით და ხომალდებით ზღვაზედ მიმოსვლამაო.

მადლობა ღმერთს, მათში მომავლის იმედები სჩანსო, მათ ცხადათ ეტყობათ, რომ ქართველ ტომის ძეთაც არ სძინავთ, მათ მომავლისთვის ლტოლვა აქვთ, ამის ნატვრა და ძარღვის ცემაც მრავლად და მძრავლად უცემთ ჯანში. აქ მხოლოდ ხელის შეწყობა არის საჭირო, პატრონობა, გზის მაჩვენებლობა, მაგრამ საიდამ, ვისგან და რითი, როცა ჩვენ ასეთი კაცები სულ არა გვყავს. აქ ქართველი მდაბიო და შეუძლო თუ ფეხს წადგამს წინა, თუ ის დაწინაურდება და განკაცდება, ეს იქნება მხოლოთ თვით მათზედ დამოკიდებული, მან ეს თავის შრომით, ცდით და მიხვედრით უნდა მოიპოვოს, მას ამაში არავინ დაეხმარება, მისთვის ცისა და დედამიწის მეტი პატრონი არავინ არის. მეც თითქმის ასე განვლე ჩემი პირველი ცხოვრების ღღენი და აძე მოვიმკე სამკალი.

განსვენებული როცა ქართლ-კახელთ მდგომარეობას გაიხსენებდა და მას შეადარებდა იმერლებისას, მაშინ აღარ იცოდა რა ექმნა, ჩვენის გლეხკაცობის უბედურებას სულ სათითაოდ ჩამოსთვლიდა ასე: გაგონილა-დაქვითება რომელიმე ტომისა, როგორც ქართლ-კახეთის გლეხკაცობა არის. მთე-

ლი ქართლ-კახეთის გლეხკაცობა სილატაკეში იხრჩობა, მათ სამოსათ სალდათის ფარაჯები გამხდარა, მათი ხელობაც მხოლოდ სოფლის გარშემო ტრიალებს, ქალაქ ადგილებს იგინი შეშის მეტს არას ზიდვენ, მათვის არსად სწავლა არს, არსად სკოლა, არსად მწიგნობრობა, ათასში ერთს ვერ ნახავთ, რომ ქართული წერა-კითხვა იცოდეს, წიგნებს კითხულობდეს. ვაჭრობას და ხელოსნობის ხომ სულ არაფერი შეგნება აქვთ, ასში ერთიც არ სწავლობს და არ ელტვის, რომ ძველ უმეცრებას და სიზარმაცეს თავი დაახწიოს, სოფლიდამ კარში გავიდეს, გარედ გაიხედოს და ნახოს თუ უცხო ტომის კაცნი მათს მამულში რას აკეთებენ. საუბედუროდ, მათ არც არავინ ხელ მძღვანელი უჩნდებათ, რომ ამ მდგომარეობიდამ გამოიყვანონ და სხვა გზაზედ დააყენონ.

ჩვენდა სამწუხაროდ ამ მდიდარი ბუნების შვილის ხელობათ სულ უბრალო რაღაცა საქმეები გამხდარა, მაგალითებრ სოფლიდამ ქალაქში ბარგის ზიდვა, რაშიაც ბევრი არაფერი რჩებათ, შრომის ნაცვლად სახლში ნავთიც ვერ მიაქვსთ, შეშის გარდა ან წვანილს ზიდვენ, მაწონს, შვინდს, პანტას და ასეთ უმნიშველოებს, რაზედაც დროც ეკარგებათ და მასთან ვერაფრითაც სარგებლობენ. ქართველი გლეხი, იტყოდა განსვენებული, საქართველოში კვდება სილატაკეში მყოფი, არაფრის მქონე, არაფრის მცოდნე, რაც აქვსთ მონობისაგან გარდარჩენილი, ისინიც ჟამთა-ვითარების მეოხებით მარჯვნივ და მარცხნივ უხვთოდ ეფანტებათ და ხელიდამ მისდით. ნელ-ნელა ქართველი გლეხი საქართველოში წარმატების მაგიერ დაკნინებას ეძლევა, ბოგანოთ ქცევას! განა სამართალია ესა? განა ამ წოდების მამა პაპებმა მიტომ იტანჯეს თავიანთ სამშობლოში, რომ დღეს მათი შთამამოვალნი მხოლოდ პეპიათა და კაკოთ იქცნენ, განა ეს შესაწყნარისია! და სხვანი. კიდევ ამავე საგანზედ განსვენებულის მოსაზრება.

აბა ახლა თქვენ გადახედეთ ჩვენს სამშობლოს ქვეყნის ასპარეზედ თუ სამუშაკო, სამრეწველო და სავაჭრო საქმეები

ვის ეკუთვნის, სულ სხვებს, სულ უცხო ტომის ძეთ, სპარსეთიდამ, ოსმალეთიდამ და ქურთისტანიდან შოსულებს. მათ კაცისას ჩვენში ვის არ ნახავთ, თბილისში კალატოზიც კი მათია. დურგალიც, მარტოდ დურგლისა და კალატოზის რამდენიმე ათასი ქალდეველის ტომის ირიცხება. მთელი თბილისი მათის რიცხვით არი მოფენილი. დურგლისა და კალატოზების გარდა მხატვარი და თვით დლიური მუშაც, ნაგვის მზიდავიც კი მათია, რასაც დიდი არაფერი ცოდნა უნდა, ესენიც კი ქურთები არიან, ამოდელი ფული, ამოდელი ძალა რაც კი ამ ხალხზედ იხარჯება, ყველა ეს რიცხვი არის მეტად დიდი, მეტად დიდი ფული, მაგრამ ჩვენ რა? ვინც მუშაობს, იგი შოულობს, ჩვენის ქვეყნიდამ იმ•ს მიაქვს თავის ქვნყანაში, იგინი მაგრდემიან ცხოვრებისთვის.

ჩვენს ქვეყანაში, თბილისში, აღარ არის სადმე ქუჩა, რომ იქ ამ უცხო პირებს ოროორი სახლ-კარი არ ჰქონდესთ, სახლ-კარს გარდა სოფლის მამულებსაც ყიდულობენ და მასთან ათას ნაირს ფოდრატებსაც იღებენ. ამათის საშუალებით მთელს სპართსეთს, ოსმალეთს, ქურთისტანს და სხვაგანაც საქართველო განთქმულია როგორც მდიდარი, ფულიანი ქვეყანა, მიტომ მათი რიცხვიც ჩვენს ქვეყანას ასე მრავლად ელტვის, იგინი ამით არც ტყუვდებიან, აქ დიდ-ძალ ფულს იგებენ და უკანასკნელ ოქრო ვერცხლით სავსენი უკანვე ბრუნდებიან, იგინი ისე ახერხებენ ყოველთვის, რომ აქ თავიანთ ბინაზედ თავიანთ თანამემამულეები მოჰყავსთ და იმათ სტოვებენ, რათა მათ ძეთა საქმე სხვას არ ჩაუვარდეს ხელში. ასე იღვწიან ჩვენს ქვეყანაში სხვა ტომის ძენი, ასე წინაურდებიან იგინი თავიანთ შრომით ჩვენ სამშობლოში და ჩვენ კი, ვაი ჩვენი ბრალი, ლამის ავიბარგნეთ, ქართველი კი თავის კერას მოსჯდომია გარს, მისდევს მამაპაპურს დუმილს, შიამიტობას და ამის მეოხებით ისპობა კიდეც, ქართველი გლეხის სიღატაკე კაცს ცრემლებს მოჰგვრის, კარგს ქართველს, კარგს მამულისშვილს გულს დაუქენჯნის, სულს შეუწუხებს, სისხლს აუმღვრევს.

აქ ქართველთ გლეხთათვის საჭიროა მცირეთ თვალის გახილება, შრომა, ცხოვრებაზედ დაკვირვება, სამოქმედო ასპარეზედ გამოსვლა, გამოდგას ფეხი დღიურ მუშის გზაზედ, საკალატოზოდ, ხეზე მომუშავეთ, რკინისა, თუჯისა და სხვა ათას ასეთებზედ, მცირედ შეიგნონ მეურნეობაც და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამით იგინი თუ ძალიან მაინცა და მაინც წინ ვერ წავლენ და დრო გვიანაა და ბიტომ იგინი ვერ გამდიდრდებიან, დღიურ საზრდოს მაინც იშოვნიან, ავადტყოფობის და გაჭირვების დროს წამლის ფული მაინც ექნებათ. ხშირად უმკურნალოდ და უწამლოდ არ მოისპობიან და ხშირათ მცირე რამ გროშების მეოხებით სხვების ყმა, მოვალედაც არ გახდებიან. იტყოდა ხოლმე, რომ ყოველი ქართველი, განათლებული თუ მცირე ნასწავლი, ქალი, თუ კაცი, მღვდელი თუ ბერი, თავადი თუ აზნაური, მოვალეა, რომ ქართველ გლეხებს ეს შეაგნებინონ, ასწავლონ მათ კარში გასვლა, შრომა და მეცადინეობა, რომ მათ მამა-პაპისაგან სისხლით მორწყულს მამულზედ მათ ექმნეთ უპირატესობა, იგინი იყვნენ ყველა საქმის, ყველა ხელობის მუშაკნი და ხელოსნები, ყველა თუ არა ზოგი სავაჭროები მაინც მათ ეკუთვნოდესთ, ქართველი მწერლები და მამულისშვილები ეი მაშინ გადიხდიან თავიანთ ზნეობრივ ვალს, როცა ქართველ გლეხს გვერდში ამოუდგებიან და სოფლის საქმეებს გარეშე ქალაქ ალაგას გასვლას და მუშაკობასაც ასწავლიან, თორემ მთელი ჩვენი ქვეყნის სამუშაკო ფული უცხო ტომის თათრებს და სომხებს გაიქვსთ უცხოეთში და ჩვენ კი შემოვსხდომივართ ჩვენს კერასა და ქვევრებსა და „ჰარალესა და თარალეს“ ვიძახით.

ერთხელ სიტყვამ მოიტანა ქართველი გლეხის შვილების წინ სვლაზედ, ვაჭრობის ასპარეზედ გამოსვლაზედ და წარმატებაზედ. სხვათა შორის მე მოვახსენე, რომ ამ უკანასკნელ წლებს, თბილისში ქართველთ მდაბიოთაგან ხმამ ოკვე იჩინა თავი ყველა დარგის ასპარეზედ, მაგალითებრ, არ დარჩა არც ერთ ერთი სახელოსნო და სავაჭრო ნაწილი, რომ მასზედ ქართ-

ველთ მდაბიო არ სჩანდეს. თითქმის დღეს, ყოველ ქუჩაზედ მოიპოვება ქართველი მეწვრილმანე, მიკიტანი, სირაჯი, მეხაშების მაგიერ კარგი ხარშოვნიკები გაჩნდნენ, სასტუმროების პატრონები, საჩაიებისა და ზოგნიც სხვა იშვიათ სავაჭროებისა. ერთხელ გაზეთ „დროებაში“ ერთი დაბეჭდილი წერილის გამო მე ვსთქვი, რომ ყველა ეს მოვლენა ჩვენ ცხად საბუთს გვაძლევს, რომ ქართლ-კახელთ მომავალზედ იმედი ვიქონიოთ. ყველა ეს უტყუარი ჭეშმარიტება არის, რომ ქართლ-კახეთიც გამოდის შრომის და თვალხილულობის ასპარეზედ და წარმატებას ეძლევა. ვგონებთ ამის უარ ყოფა არ შეიძლება, ვგონებთ რომ ამაზედ ყველა დაგვეთანხმება, იმედია რომ ჩვენ ყოველ წელს და თვეს წინ წავალთ და ის რაც წინეთ არ ვიცოდით, იმას ხვალ და ზეგ შევისწავლით. ასეთ წარმატების შესახებ გიორგი დავითის ძემ შემდეგი თავის სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც მე მოვიყვან აქ, მოვიყვან აქ ისე, როგორც მე მახსოვს და კარგათაც ვიცი. უნდა მოგახსენოთ, ქართველთ შორს ძველადგანვე, უბრალო მეხაშეებსა და ხელოსნებს გარდა, სხვებიც იყვნენ, მაგალითებრ შემჩნეული ვაჭრები, ხელოსნები და სოვდაგრებიც, ამათი რიცხვი საქართველოში ძველადგანვე არსებობდა, მათ რუსობის პირველ წლებსაც მოაღწიეს და უნდა ითქვას, რომ იმ დროს მათ უფრო მეტი შნო უნდა გამოეჩინათ, მეტი სახსარი და ძალა როგორც ვაჭრობის ასპარეზედ, ისევე ხელოსნობისაზედაც, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, იგინი წარმატების მაგიერ მოსპობას მიეცნენ და უკანასკნელ ისე გაქრნენ, რომ XIX საუკუნის ნახევარს, მათი ხსენება სამთლით საძებარი შეიქმნა, თორემ ვგონებ, ყველა ჩვენთაგანმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მეფეების დროს, თბილისში და სხვა დაბა-ქალაქებშიაც ქართველთ მოქალაქეთ და ხელოსანთ რიცხვი არსებობდა, იგი მცირე არ იყო, მაგრამ როგორც ვსთქვით, ჩვენს დროში იგინი მთლათ მოისპენ და მათ მაგიერ საქართველოში სხვები გაჩნდენ. სხვებმა გაიმაგრეს ფეხი, ეს უძლურება ქართველთა

რამდენადაც უცხო შეძლებულ ვაჭართა ჯიბრით მოხდა, იმაზედ მეტად იმ გარემეობისგანაც, რომ ქართველ ვაჭარს და ბის ხელ ქვეითს, ანუ პრიკაშჩიკს (ნოქარს) არ ჰქონდათ ურთი ერთშორის მოვალეობის შეგნება, ცოდნა, ერთმანერთის შენახვა, გატანა, ერთმანეთითვის გულის ტკივილი.

რამდენი მაგალითი ვიცი, ჩვენს თბილისში, რომ ქართველი მიამიტი ვაჭარი მიენდო თავის მეამიტს და გამოუცდელს პრიკაშჩიკს, მას ჩააბარა ყოველივე, მის გამგეობის ქვეშ მოამწყვდია ყველა ქონება და აღებ-მიცემის საქმე, თვით უზრუნველად სხვაგან წავიდა, სხვა დიდს საქმეს ეჭიდებოდა, ეგეგბა სხვა უკეთესიც დავიჭირო რამეო, ისკი არა, იქ მან ვერა აიღორა, ცდა მაინც ცდაც დაუშთა და მცირე გამოწრთვნაც მიელო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ პირს, თავის ქართულის მეამიტობით, ვიდრე შინ დაბრუნდებოდა, მინამ მისმა მეამიტ ქართველ პრიკაშჩიკმაც მისი სავაჭრო გაფლანგა, ახალგაზდობის, გამოუცდელობის და ქარაფშუტობის შეოხებით ყოველივე დაამხო და ფანტია ქართველ ნოქარმა ფანტიობის სრული სახელი დაიმკვიდრა. ვინც აიყოლიეს და ვინც გააბრიყვეს იგი უკანასკნელ თვით ესენივე დასცინოდნენ და „ტუტუც ვრაცის“ ეძახდნენ. ასე და ამ გვარად ჩვენის უხეირობის მეოხებით, ერთს ალაგას მოისპო ძველი ქართველი მოქალაქე კაცის აღებ-მიცემის საქმე, ვაჭრობა, დუქანი და მის მაგიერ ჩამოსახლდა სხვა ტომის კაცი და მან დაიწყო აღებ-მიცემა და ვაჭრობა, აბა ერთი ბრძანეთ, ვინ უნდა იყოს ამაში დანაშაული და ბრალ სადები, რასაკვირველია ჩვენა. ყოველივე ჩვენი ბრალია და ჩვენის უჭკუო მოქმედების.

ქართველთა შორის მაშ რამ უნდა დააყენოს ფეხზედ ვაჭრობის საქმე, რა უნდა იყოს მის უმთავრეს სახსრათ გამხდარი? გვიკითხავს ხოლმე გიორგი დავითის ძისათვის და მას არა ერთხელ ესეთი პასუხი მოუცია ხოლმე: მე არ ვიტყვი, რომ ქართველ ვაჭარის ქვაკუთხედ საქმეს მარტოდ ვაჭართ და

მათ პრიკაშიკთა ურთი ერთ შორის კარგი კავშირი შეადგენდეს, გულ-მტკინველი ცხოვრება და სხვანი, არა, ამაზედ უმთავრესი სხვებია და ერთი ამ უმთავრეს მუხლთაგანს ესეც შეადგენს.

ქართველი ვაჭარი და პრიკაშჩიკი ერთ შეერთებულს სინიდისიერს ძალას უნდა წარმოადგენდეს, უპირველესად მათ უნდა სწამდეთ, რომ იგინი ქართველის ტომის შვილები არიან და მასთან საქართველოში სცხოვრობენ, უნდა იცოდნენ, რომ თუ არ შეერთებულის ძალით და მამულისშვილურის თანხმობით უამათოდ ქართველთ შორის ვაჭრობის საქმე ვერ დაწინაურდება, ქართველთ ვაჭრობა ფეხს ვერ აიდგამს. მათ კარგათ უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისში არ მოიპოვება ერთი ქართველის კარგი ბაზაზის მაღაზია, კარგის კუპწის, მერკინესი, ევროპიელთ ტანისამოსის გამყიდავთა ხომ ხსენებაც არ არის, მთელ თბილისში დიდრონი ბაკალეინის მაღაზიები, ტყავის ქარხნები და ევროპის ერთა სხვა და სხვა ნივთთა მაღაზიები და ბევრიც სხვანი, ენით მოუთვლელნი.

ყოველივე ახლა სჩნდება ქართველთ შორის, ეხლა ეუძნდება და ამ ახალ დამფუძნებულთ შორის თუ არ იქნება ერთმანეთის ცნობა და შეგნება გამტკიცებული უამისოდ ყოველივე ამაო იქნება, ნათქვამია:—„ურიის პური ჭამე და ურიის ხმალი მოიქნიეო.“ ჩვენი ქართველი ნოქარიც ასე უნდა მოიქცეს, იგი რაკი ქართველ კაცს ემსახურება და მან იცის ის გარემოებაც, რომ ორივენი ერთ განსაცდელში არიან მოთავსებულნი, ამიტომ ნოქარმა სულით და გულით უნდა ემსახუროს და არას დროს არაფერს საქმეში თავის უფროს არ ულალატოს. მისი უფროსის ფეხზედ დადგომა, ვაჭრობით და დოვლათით დაწინაურება იქნება სახსარი თვით ნოქრის მომავლის ცხოვრების, მის განმტკიცების, ფეხზედ დადგომის და დაწინაურების.

ნათქვამია: „გული გულს იცნობს და სული სულსაო“

მათაც ასევე უნდა იცოდნენ ერთმანეთის ავი და კარგი, ქართველ ვაჭარს და მის პრიკაშჩიკს კარგად უნდა სწამდეთ, რომ თუ არ შეერთებულის ოსტატურის ძალით, სიმართლით და ბატიოსანის თავ-დაჭერილის ცხოვრებით და ხარჯვით, უამისოდ მათი საქმე და აღებ-მიცემა წინ ვერ წავა. ბევრ ალაგას მომხდარა და მოგვივა კიდევაცა: რომელიმე ქართველ კაცს ვაჭრობა კარგად წასვლია, მას ჰყოლია შესანიშნავი პრიკაშჩიკი, ეს პრიკაშჩიკიც მისთვის მეტად ხელ-მარჯვე ყოფილა და კარგი მშრომელი და მცდელი. ასეთის პირის მეოხებით ვაჭარის საქმე ფეხზედ ყოფილა დაყენებული, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ ქართველ ვაჭრის კარგი აღებ-მიცემა ზოგი ერთ უცხო ვაჭარ მტრებს დიდათ შეშურებიათ, ქართველი ვაჭრის პრიკაშჩიკს შესჩენიან, დაუწყვიათ მისთვის ლაპარაკი, უკანასკნელ აუყოლებიათ საქეიფოთ და უფროსის ჩუმათ მრავალ ალაგას ფული უბრალოდ უხარჯვინებიათ, რაის გამო უკანასკნელ პრიკაშჩიკიც გაჭირვებაში ჩავარდნილა და გალორებულის მუცლისა და ჯიბისათვის ჯამაგირი აღარ ჰყოფნია, მერე უფროსის დახლიდამ დაუწყვია ქურდობა. რაკი ერთხელ სავაჭროში მრუდე ხელი დატრიალდა, მერე მშვიდობით, იმ სავაჭროში საქმე ერთობ უკუღმა წავა, ამის მოწმები არიან ვაჭართ ცხოვრების წარსული. აწმყო და მომავალიც, ბევრი მაგალითებით ვიცით, მაგრამ ყველას მოთვლა საჭირო არ არის, მომხდარა და ეს მოხდება კიდევაც იმ დრომდე, ვიდრე ჩვენ ჩვენს ვალს არ შევიტყობთ.

ქართველ ვაჭართან შეგირდათ ყოფილა ვინმე ტეტიათაგანი, აქ ეს ტეტია დავაჟკაცებულა, აქ უსწავლია წერა-კითხვა, ანგარიში და ვაჭრობა, აქ მას უფროსის სახლობა ისე უმზერდა როგორც მათ შვილს და ამიტომ მისთვის ურეცხავთ სარეცხი, უკერიათ ყველაფერი, ერთის სიტყვით დიდი მზრუნველობა გაუწევიათ. რაც ხანი გასულა შაგირდისთვის უფრო მეტი პატივი უციათ, შაგირდსაც კარგად უმსახურნია. უკანასკნელ შეგირდობიდამ ნოქრობაზედ „ანუ პრიკაშჩიკო-

ბაზედ“ გადასულა. ბოლოს თავის უფროსის მაღაზიაც მას ჩავარდნია ხელში და საქმეებიც უწარმოებია კარგად, გასულა რამდენიმე ხანი და ეს ნაამაგარი და პურ-მარილით გასდილი ნოქარი თავის უფროს გაორგულებია, სხვათა მეოხებით მას დაუვიწყნია თავის უფროსთან ყოფნა, ზრდა, პატიოსნობა, კაცად ქცევა და სხვანი. ოსტატურ რჩევის მეოხებით გადამტერებია თავის მეპურმარილე და ნაამაგარ უფროსად ყოფილს და მის გვერდით იმავე ნივთის მაღაზია გაუხსნია, მით იგი თავის უფროსად ყოფილს ჯიბრში ჩასდგომია და ამ ჯიბრით გაუხარებია მისი მტრები, რასაც უკანასკნელ რასაკვირველია კეთილი არა მოყოლია რა, საბრალო ქართველი ვაჭარი თავისავე ქართველის პრიკაშიკის ქიშპობით და მტრობით დედა-მიწიდამ აღგვილა. ამის შნო აქვსთ ქართველებსა და ქართველმა თუ ვისმე მოატყუა, ან დასცა, ან ჯიბრში ჩაუდგა, ის უსათუოდ ქართველს, რადგანაც ქართველი ისევ თავის ძმის დამღუპავი მტერია, თავის ტომის, თავის სახლ-კარის და ოჯახ-ნათესავების, სხვის წინაშე იგი ვერაფერს ძალას გამოიჩენს, ვერაფერს მახვილს. ამაზედ ნათქვამია გარედ მხდალი შინ ძრიელი, მტრის არ მცნობი, შოყვრის მგმობი, უზრუნველი და ძრიელი.

ვიდრე ქართველთ უფროსს ვაჭართ და მათ ხელ-ქვეით შორის ასეთი შეუგნებლობა იქმნება, ვიდრე იგინი ერთნაირის მამულისშვილობით არ გაიმსჭვალიან და ერთმანერთის ჭირი და ლხინი კარგად არ ეცოდინებათ, ერთმანეთისთვის გული არ შესტკივათ, უამისოდ ძნელია, რომ ქართველი კაცის აღებ-მიცემა სხვას გაუმკლავდეს, ვაჭარ-კაცს თავის საალებ-მიცემო საქმეებში თუ გულშემატკივარი პირი არ ჰყავსთ, უამისოდ ძნელია, რომ მისი საქმე წინ წავიდეს. აბა შეეხედოთ სხვებს, სხვა ტომის ვაჭრებს და მათ ხელ ქვეითებს თუ როგორის შეერთებულის შეთანხმებით ცხოვრობენ, როგორის გაერთიანებულის ჰაზრით მოქმედებენ, როგორ მიჰყავსთ თავიანთი აღებ-მიცემის საქმე წინ. ამისთვის ძრიელ შორს არ წავალთ, დავასახელებთ თუნდ ჩვენს მოძმე სომხებს, აბა შეხედეთ როგორ

იქცევიან ვაჭრობის ასპარეზზედ, ერთმანერთს როგორ ეხმარებიან, ყოველ პრიკაშჩიკს თავის უფროსის კარგი ვაჭრობა თავის საკუთარ სახსრად-სიამოვნებად მიაჩნია და უვაჭრობა და უკანვრდომა კიდევ თავის მწუხარებათ. ერთს მეორის სიკეთე ახარებს, მწუხარება ადარდებს, მათ კარგად იციან, რომ თუ არ ასეთის შეერთებულის ძალით, უამისოდ მათი წინ ვერაფერი წავა და კიდეც ეს შეგნება არის, რომ იგინი ასე კარგათ მიდიან წინა და წარმატებას ეძლევიან. მთელი სომხის ვაჭრობა ერთს მტკიცე და დაურღვეველს ჯგუფს წარმოადგენს, ერთ ცხოვრების ძალას და სახსარს.

მხოლოდ ჩვენ ქართველები ვართ ასეთ დარგს მოკლებული და უბედურნი და ვიდრე ამ მოვალეობას არ შევიგნებთ, მინამდის ქართველთ აღებ-მიცემის ასპარეზედ ბევრი ზნევა და უბედურება მოხდება თვით ქართველთაგან ქართველთავე წინაშე. ამისთვის სხვისი მტრობა ჩვენთვის საჭირო არ არის, კმარა დავასახელოთ ჩვენი მტრობა, ჩვენი არეულ-დარეული მდგომარეობა და შფოთები. ამაზედ მეტი ჩვენ აღარა სენი გვინდა რა, ძველად ქართველი ქართველთან ვაჭრობას ამხანაგობას მთელ სიცოცხლეს ატარებდნენ 30—40 წელიწადი ერთად იყვნენ და დღეს კი ორს ქართველს I წელიწადს ვერ ამყოფებ ერთად ამხანაგად, ორს თუ მესამე და მეოთხე ამხანაგიც მიუმატეთ იქ ხომ ყოველივე საქმე გაფუჭდება, წახდება და უკანასკნელ სიკეთის მაგიერ ერთმანეთს ისე გადაეკიდებიან, რომ ვგონებ სისხლის ღვრაც კი აღარ დაიშურონ.

ასეთი მაგალითები ჩვენ ერთობ ბევრი გვინახავს და უეჭველია ბევრს კიდევ ვნახავთ. ქართველი ქართველთან ვერ თავსდება, ხუთ ქართველს ერთად ვერ შეუყრი თავს და ერთს საქმეზედ ვერ ამოქმედებ. ერთად ვერ აფიქრებინებთ.

აი ასეთის შეხედულების იყო გიორგი დავითის ძე ჩვენი აღებ მიცემის საქმეზედ და ვგონებ, იგი როგორც ამ დარგში დაბადებულ, გაზდილი მართალიც გახლდათ და ყოველივე სიმართლეს ამბობდა, ხოლო მის მარად მოსაგონარ

ნაამბობ და შენიშვნებიდგან ეს აღწერა შევადგინეთ და ვგონებთ, რომ იგი უმნიშვნელო არ უნდა იყოს. იგი ბევრს რამ საყურადღებო მხარეებს ღალადებს ქართველის კაცის ჭკუისას და სულიერის მხარეების შესახებ, ამ საგნის შესახებ ეს საუბარიც კმარა და ვგონებ ქართველთ ვაჭართა და პრიკაშიკთათვისაც ეს კაი საუწყებელი დარიგება უნდა იყოს. გიორგი დავითის ძის მშობლები, როგორც ვსთქვით თავის დროის პირნი ყოფილან და შესაფერის ქართულის ღირსებით დაჯილდოვებულნი. ასე თუ ისე, მშობლებისაგან, თუ სხვა პირების მეოხებით, გიორგი დავითის ძეს საქაროველოს ერის სიყვარულს, ქართული ენის და მწიგნობრობის როგორც ზემოთაც ვსთქვით ადრიდგანვე შესჩეევია, ადრეევე ჩანერგია გულში და აჰყვავილებია. მისი მამულისშვილობა, მისი სპეტაკი და თან მისაბაძავი ადამიანური პატივის ცემა იყო უმაგალითო, ქართველის კაცისაგან საქები და სავალდებელი, რამდენი ამაზედ უფრო წარჩინებულ გვარის შვილები იყვნენ ჩვენში და დიდი ჩინისა და ორდენების კაცები, მაგრამ მათ საქართველოს სიყვარულის სხივების გიორგი დავითის ძის მეათედიც არ ჰქონდათ გულში ჩანერგილი. გიორგი დავითის ძე როგორს ახტაცებულის მამულისშვილობითაც იყო დაჯილდოვებული და ღფრთოვანებული, იგი თავის წრეშიაც ასეთ კაცებს ეძებდა, ასეთ კაცებს მეგობრობდა და ბევრს ისეთ პირებსაც რომელთაც მისის მამულისშვილობის არაფერი ესმოდათ, არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ აბას იგი არ უშინდებოდა და მიტომ თვით ასმენდა მათ და უწინასწარმეტყველებდა სავალდებულო მამულის შვილობით. გიორგი დავითის ძე მე გავიცანი 1879 წ. შემდგომ მის მე მათ ქართული წიგნებით ხშირად ვხლებივარ. 1882 წ. მან ჩვენს მალაზიაში მოიყვანა მდიდარი ემ—ვი, სომეხი და რამდენიმეც სხვანი და ქართული წიგნები აყიდინა, თან ასე უთხრა მათ:

— აი წიგნები, აიღეთ და იკითხეთ, თქვენ იმას იტ ნ ტ-ყვით, რომ სომხები ვართ და ქართული წიგნები რად გვინდა.

37251

თქვენ ისა ბრძანეთ, რომ ეს წიგნები კარგი წიგნებია, კი საკითხავი, თქვენც ხომ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვაც კარგად იცით. წაიკითხეთ და ისიამოვნეთ.

ასეთის საუბრით გიორგი დავითის ძემ რამდენიმე მდიდარ ვაჭრებს ქართული წიგნების კითხვა შეაყვარა. იგი როგორც მხნე იყო ასეთ პირებში, ასევე იქცეოდა თვით მდაბიო პირებშიაცა და ყოველთვის სულით და გულით აღვსილი ეტანებოდა ქართულ წიგნებს, აი მაგალითები: მე თვით კარგად მახსოვს, რომ იგი ჩვენგან სახალხო წიგნებს ოცობით ყიდულობდა, ხოლო სად მიქონდა იგი, ვის აძლევდა, ეს მე არ ვიცი, არ მიკითხავს ამაზედ რამე და ცხადია, რომ იმ წიგნებს იგი აქ იქ მდაბიო ქართველთ ურიგდება, ამის სინამდვილე დამტკიცდა მაშინ, როცა მე 1889 წელს ქართველ მაჰმადიანთვის სახალხო წიგნების ბეჭდვა დავიწყე. ამ საქმეს გიორგი დავითი ძემ დიდის პატივის ცემით შეხვედა, დიდის სიხარულით და მე დიდი თანაგრძნობის წერილიც მომწერა, და აქო და ადიდა ქართველთ მდაბიო შორის ქართული წიგნების ვრცელების დასაწყისი. სამწუხაროდ ეს წერილი დავკარგე, თორემ აქ მთლად მოვიყვანდი.

ქართული მწიგნობრობის ასპარეზედ გიორგი დავითის ძე იცნობდა ყველა მოღვაწე და მწერლებს, ნამეტურ დიდის პატივის ცემით ეპყრობოდა დ. ბაქრაძეს და მასთან კარგი მეგობრობაც ჰქონდა, ხშირად დადიოდნენ ერთმანეთში და ყოველთვის ქართულს მწიგნობრობაზედ ჰქონდა საუბარი, გიორგი დავითის ძეს ძრიელ უყვარდა თამარ მეფის ხანაზედ საუბარი და დ. ბაქრაძესთან ხშირად ამაზედ ლაპარაკი. დ. ბაქრაძეს გარდა მეტის პატივის ცემით ეპყრობოდა: ილ. ჭავჭავაძის სახელს, აკაკის და ბევრიც სხვების, როგორც მწერალ-მოღვაწეებისას, ისევე რედაქტორებს, გამომცემლებს და საზოგადოთ ყველას ვინც კი ქართული მწიგნობრობის ახლოს იდგნენ, მის გარშემო სტრიალებდნენ. არც ერთი კითხვა მწერლობაში აღძრული გიორგის არ გამოეპარებოდა. იგი კარგად იცნობდა ჩვენს სიტყვა-კაზმულს მწერ-

ლობას, როგორც ძველს, ასევე ახალს, იცოდა კარგად მთელი ჩვენი ახალ მწერლობის აღორძინების ისტორია. იცოდა კარგად ყოველი მწერლის საუკეთესო და მდარე ნაწერიც, ძრიელ მოსწონდა იკ. გოგებაშვილის, „რანი ვიყავით გუშინ“ და სხვანიც ამ გვარნი. ქართულს ენაზედ არც ერთი დრო გამოცემა არ გამოსულა, რომ იგი მას გაწერილი არ ჰქონიყოს, თითქმის ყველა გამოცემას იბარებდა, მასთანვე საქართველოში ისე სადმე ქალაქში რამე წიგნი არ გამოვიდოდა, რომ იგი გიორგი დავითის ძეს სიამოვნებით არ შაეძინა და მასთან არ წაეკითხნა, იგი რასაც კი იბარებდა ჟურნალს, გაზეთს, წიგნს და ან სხვა რამეს, ყველას ფურცლავდა, ყველას თვალთ-ყურს ადევნებდა. სადაც უნდა შეხვედრიყავით იგი ყველგან მწერლობაზედ და ჩვენ ცხოვრების კითხვებზედ საზოგადოდ ჯეროვან პასუხს მოგიგებდათ.

როგორც მწერლობის და მის აღორძინებას-იგი ისევე დიდის ახტაცებით უმზერდა ქართული თიატრის აღორძინების საქმეს, 1878 წ. ქართული თიატრის დაფუძნების საქმეს დიდის სიხარულით შეხედა, მაშინ თეატრის ბილეთებს აქა იქ სახლებში ვგზავნიდით, ხან მეც კი მიმქონდა, ასევე უგზავნიდით გიორგი დავითის ძეს და უნდა მოგახსენოთ, რომ იგი არც ერთხელ თიატრის ბილეთს უკან არ დააბრუნებდა, ეს როგორც სხვა იმ დროის ქართველებმა იცოდნენ. გიორგი ბილეთის ხვედრი ფულის მაგიერ შეტსაც იხდიდა ხოლმე და წარმოდგენასაც ოავის დღეში არ დააკლდებოდა. რაც შეეხება მოთამაშეთა პატივისცემას ესეც ხშირად იცოდა და შეუდარებლადაც. იგი თავის შეძლების დაგვარად ყველა მშრომლის ნიჭსა და პიროვნებას აფასებდა, ყველას პატივს სცემდა და ამიტომ იგი თავის სახლში ხშირად მართავდა ნადიმებს და ჰპატიჟობდა ყველა ქართველ მოღვაწეებს, თიატრის მთთამაშეთაც და სხვათა ცნობილ ქართველთაც.

გიორგი დავითის ძე დიდს ყურადღებას აქცევდა აგრეთვე უცხო გამოცემაებსაც, სადაც კი ქართველებზედ რამე

ცნობები იბეჭდებოდა. დიდის პატივით ეგებებოდა აგრეთვე
იმ უცხო მწერალთა და მოგზაურთაცა, რომელნიც კი საქა-
რთველოს შესახებ რამეს დასწერდნენ და იქ ქართველობას
ასე თუ ისე მოიხსენებდნენ; აგრეთვე დიდს ყურადღებას
აპყრობდა საქართველოში უცხო მოგზაურებს. ვინც კი
აღმოსავლეთის ერთა ისტორიის მცოდნე მოგზაური მოვი-
დოდა თბილისში და იგი ქართველთ გაცნობას ისურვებ-
და, იმას არ შეიძლებოდა, რომ გიორგის სახლში პურ-მარი-
ლი არ ენახა და ქართველი კაცის გული არ გაეცნა. ამ პი-
რის მხრივ უცხოელთა წინაშე მარტოდ მოწვევა არ იყო სა-
ვალდებულო საქმეთ გამხდარი, ესევე პირი ამავ უცხო პი-
რებს მიართმევდა ხოლმე ყველა უცხო ენებზედ დაწერილს
საქართველოს შესახებ წიგნებს, რითაც უცხო მოგზაურთ
გზა და კვალ გაეხსნებოდათ ქართველი ერის ცხოვრების და
ისტორიის შესაწავლის საქმეში.

ასეთ პირთა გამასპინძლებასაც არა მარტო შექცევის გემო
აქვს, არამედ მამულისშვილური. ადვილი საქმე არ არის,
კაცმა და ი იც კარგად მოწყობილმა ვინმემ უცხო მოგზაური
ისტუმროს თავის სახლში და მას შესაფერათაც გაუმასპინ-
ძლდეს, გამასპინძლების ხარჯიც რომ იქით გადავსდოო, მარ-
ტოდ დრო ღირს ერთ რამედ და საქმედ, ეს არის უმთავრე-
სად აღსანიშნავი და ყველა იმ დათმენათა გარემოებანი, რაც
კი კაცმა უცხოს პირის წინაშე უნდა გამოიჩინოს. გამოიჩინოს
და ისიც თავის ნებით, ამისთვის მას არავინ ი ას აწუხებდეს
და ყოველთვის და ყოველგან ასეთ სამამეულო საქმისთვის
როგორც მზად იყოს ერთი პირი ოჯახისა, ისევე მეორე, მე-
სამე და თითქმის მთელი ოჯახი ერთის შეთანხმებულის მამუ-
ლისშვილობით იღვნენ აღვსილნი და თანა-მომხრენი.

მაგალითებრ ასეთი იყო თვით გიორგი დავითის ძის მეუღლე
თამარ სოლომონის ასულიც, როგორც ქმარი, ისევე ცოლი,
თვითქოს ბუნებას ერთის ადამიანურის თვისების დაებადნა,
ერთის შეხედულების საქმესა და საგანზედ, ეს მანდილისანი

იყო სახე იმ დიდებულ ქართველ დედებისა, იმ დიადის დედაკაცობისა, რომელთაც მემკვიდრეობით მშობელთაგან ღირსებათ მოსდევდათ დიდი კრძალულება, სათნოება, დედათ დედობა, ადამიანობა, ყველგან და ყოველთვის მაგალითობა ხელსაქმით, ჭრით, კერვით. ხარშვითა, რეცხვით და უაღრესად ქართული წიგნების კითხვით, ეს მანდილოსანი ბურჯი იყო გიორგის ოჯახისა და თან კიდევ საუკეთესო, სამაგალითო ადამიანი ქართულის ოჯახის, თამარ სოლომონის ასული სამაგალითოდ უნდა ყოფილიყოს ჩვენი ქალების წინაშე, იგი იყო მისაბაძი და მაგალითი ყველასი, შინაურს საქმეებს და კერძილ საქმეთა თესვის გარეშე, რომლის აღნუხსვა ერთობ ძნელია, იგი იყო ქართული მწიგნობარიც, მოყვარე ჩვენის ისტორიისა და ძველის მწერლობისა იქამდე, რომ მან იკისრა და თავის ხარჯით 1889 წ. დასტამბა მოსე ჯანაშვილის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია. ამ წიგნის შესავალი დანიშნულ იქმნა საზოგადო საქმეთა მოსახმარად.

ასეთი ალმატებულის იყო თამარ და იგი ამ ალმატებულებით უდიდესად ათენდა და აბრწყენდა არა მარტო ქრმის ოჯახს, შვილების აღზრდას და ადამიანურს დედობას, არამედ იგი თავის შეძლების ღაგვარად დიდის პატივით და სიბრალულით უმზერდა ქართველ გაჭირებულ ქალთა მდგომარეობასაც, საქართველოში ქართველი ქალი ყოველის დარგით სხვა ტომის ქალებზედ ერთობ მაღლა სდგას, მას ბევრი რამ შეუდარებელი ღირსება აქვს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იმავ დროს, იგი დამდაბლებულია პირადის უფლებათა მხარეების პატივისცემის სიბრალულით, მათი მფარველი და მომხრე საქართველოში დაიშვიათებულია. ამ იშვიათობას თამარ სოლომონის ასული კარგად გრძნობდა და იგი თავის შეძლებით და საქმით ყოველთვის მალამოსავებ ყვლებოდა ქართველ გაჭირვებულ ქალთა ცხოვრებას და გარემოებას. ასეთ გაჭირვებულ ქალებზედ მას ბევრი ამაგი აქვს დათესილი და ჩვენ სრული მოიმედე ვართ, რომ იგი არას დროს არ დაიკარგება.

მის გახსენებას ჩვენში არავინ დაიდუმებს, ეს მანდილოსანი გარდაიცვალა 1899 წელსა ქ. თბილისს, 50 წლის მიღწეული, მისი გარდაცვალების ამბები იმ დროის ქართულს გაზეთებშიაც იქმნა მწუხარებით ანუსხული. იგი დაასაფლავეს დიდუბის ტაძარში. სადაც ადრიდგანვე იქმნა დანიშნული მათი დასაკრძალავი სამარე. ამ ადამიანის გარდაცვალებამ ზეტად დიდი ზე გავლენა იქონია გიორგი დავითის ძეზედ და მის შემდეგ აღარც ამ პირმა იცოცხლა დიდ ხანს.

როგორც ეს მანდილოსანი გახლდათ, უნდა მოგახსენოთ, რომ მასზედ უაღრესს თვისების იყო გიორგი დავითის ძეც ასეთ საქმეებში თვით გიორგი დავითის ძეც დიდათ ეხმარებოდა ქართველ გაჭირვებულთ ცხოვრებას, ეს მოხდებოდა ისე, რომ მარჯვენა ხელის განაღები მარცხენამაცკი არ იცოდა. სამთელი თავის გზას არ დაკარგავსო, რა საჭიროა, რომ ამის ამბები აქეთ იქით იცოდენო. ძნელად, რომ გიორგისთან ვინმე ქართველი გაჭირვებული მისულიყო, მას დახმარება ეთხოვნა და გიორგისაგან კი რამე შემწეობა არ მიელო. ეს შეუძლებელი იყო და იგი არას დროს და არსად და არავის გაისტუმრებდა ხელ-ცარიელს. იგი ყოველ გაჭირვებულ ქართველის ხილვით დიდათ სწუხდებოდა, მას სრული მწუხარება მოიცვავდა, თავით-ფეხამდის ქართველი კაცის სილარიბე და გაჭირება შეიპყრობდა. არა მგონია, რომ სადმე გამოჩნდეს ვინმე და გიორგი დავითის ძის ასეთი თვისება და სიბრალული უარი ჰყოს, ნაცვლად ამის ჩემს საუბარს მრავალნი თვით ამისაგან ნამოქმედარის ცნობებითაც დაასაბუთებენ.

როგორც ადამიანი, კაცად კაცი, გიორგი იყო ნამდვილი სახე, ნამდვილი ადამიანი, ძნელად, რომ მისგან სადმე ვისმეს რამე სწყენოდეს, დიდის, პატარის, ქალის, თუ კაცის მას დიდი თავაზი, დიდი პატივი ჰფლობდა, ანის არამც თუ გარეშე პირები შეუძლიანთ დასაბუთება, არამედ შინაურებსაც, სადაც მასთან შინაურ მოსამსახურეებს, მახლობელთა, ნაცნობთა და მეგობართა დიდის ხნობით უცხოვრიათ, მაგ-

რამ გიორგისაგან ერთი უბრალო წყენაც კი არ უნახავთ, ერთი სიტყვა, საყვედური, დამდურება. არა შგონია, რომ მთელს საქართველოში მოიძებნოს ისეთი პირი. რომ მას გიორგი დავითის ძისაგან რამე საწყენი სიტყვა, ამგვარი რამ საქმე ახსოვდეს. თვით მის მუშაკნი და ხელოსნები დაამტკიცებენ გიორგი დავითის ძის ასეთს ღირსებას, თვით იგინი დაამოწმებენ ამას და ოხვრით მოიგონებენ მის დიდს თავის სიმდაბლეს, მამულისშვილურს დამოკიდებულებას და მუშა და ხელოსნის სიბრალულს.

გიორგი დავითის ძე გამოცდილი იყო მუშებსა და ხელოსნების ცხოვრებაში და მიტომ მან მათი ცხოვრებაც კარგად იცოდა, მათი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი და წერტილსაც კარგად იცნობდა, სულ ამის მეოხება იყო, რომ იგი ქართველ მუშებს და ხელოსნებსაც დიდის სიბრალულით უმზერდა და ყოველთვის და ყოველგან მათი ფხარე ეკავა, მათი მოსარჩლე და ქომაგი იყო. ჩემს საუბარს ცნობებით ქართველთა სხვა და სხვა ხელოსნები და მუშებიც დაასაბუთებენ, ეს ამბები განსვენებულის დასაფლავების დროს მრავალთაგან იქმნა სიტყვით გამოთქმული და მწერლობაშიაც აღიარებული ბეჭვდითის სიტყვით. გიორგი დავითის ძის ასეთი კაცად კაცური თვისება დღესაც ძრიელ ბევრს ხელოსანს და მუშებსაც ახსოვთ კარგად.

გიორგი დავითის ძე იყო საზოგადო მოღვაწე, მასთან ცნობილი პირი და საზოგადო მოღვაწეობის გარეშე სხვა და სხვა სამრეწველო და საიჯარადრო საქმეებშიაც დიდათ მოხერხებული, საკუთარის ორგინალურის ნიჭის პატრონი, ყველა საქმეზედ გამრჯე, გამარჯვებული, ყველგან კარგის ენერგიის გამომჩენი. სადაც კი ამ პირმა თავის ცხოვრებაში ხელი მოავლო და კეთება დაიწყო, ყველგან გაიმარჯვა, ყველგან ლეოლო გაიტანა, თავისი გზა გაარკვია და მის მეოხებით ცხოვრების ასპარეზედაც საკმარის წერტილზედ ავიდა, საკმარისად შეძლებაც შეიძინა ისე, რომ თბილისში სადაც ერთი და ორი

შეძლებული კეთილი კაცები იხსენებოდნენ, იქ გიორგი დავითის ძის სახელიც სახელოვნებდა. წელში გამაგრებულმა გიორგიმ ბევრს საიჯარადრო საქმეებს მოჰკიდა ხელი და უკანასკნელ გორიდამ ატენამდის რკინის გზაც გაიყვანა, საიდამაც მას რკინის გზისთვის ხეტყეც გამოჰქონდა, ამ საქმეში მან საკმარისად იზარალა. ისე, რომ ზარალმა მის ცხოვრებას დიდი ბეჭედი დაასო, დიდი ზე გავლენა იქონია არა მარტო გიორგის გარეგან მხარეზედ, არამედ შინაგან მხარეზედაც, მისი საქმეები საკმარისად შეირყა და დაუძლურადა, მაგრამ ამ დაუძლურების დროსაც მას წარბი არ შეუხრია, ზურგიც არ უდრეკია, როგორც თავის უწინდელის მამულიშვილობისათვის, ისევე თავის კაცთ-მოყვარეობის და კეთილის სიბრალულისათვის.

ამ მარცხს მომავალსაც გაუძლო გიორგიმა და თუმცა დიდის ტვირთით და შრომით კი, მაგრამ უკანასკნელ თავის ცხოვრების საქმეც საკმარისად მოგვარა. საქებია და სანატრი ისეთი კაცები, რომელნიც თავიანთის ინერციით თვით უკანასკნელ სულის განწირულებამდისაც კი არ ჰკარგავენ, ყოველ ნაირს საშუალებას ხმაროობენ, რათა ყოველ მარცხის დროს კაჟივით დაშთნენ და ცხოვრებაში უცვალებელ იქმნენ, წარბიც არ შეიხაროს. გინდ სენ სიმონივით უკიდურეს სილატაკეშიაც ჩავარდნენ. გიორგი დავითის ძის ასეთი თვისების სრული მოწამეა ის გარემოებაც, რომ იგი თვით ასეთ დროსაც კი დიდათ პატივს სცემდა სწავლა-განათლების საქმეს; ქართველებში სკოლების დაბსნას, ქართველთ შვილების უმაღლეს სასწავლებელში წასვლას და სხვა. ასეთ ქართველ მოსწავლეებზედ მას ერთობ დიდი ფული აქვს დახარჯული, მისი ანუსხვა ჩვენგან ძნელია, სადაც კი ხელის მოწერა გაიმართებოდა მოსწავლეთა სასარგებლოდ, იქ გიორგი დავითის ძე პირველ რიცხვშივე მოჰყვებოდა, ვინაკი მივიდოდა მასთან, თუნდ უცხო, თქვენ არ მომიკვდეთ, რომ იგი მისის სახლის ზარის რეკით არ დაიღალებოდა, ვინც კი ჩამოკრავდა ზარს, მაშინათვე მზათ იყო მსახური კარის გასაღებად.

ეს მხარე ჩვენი საზოგადოების წინაშე იქამდეს საყურადღებოა, რომ ჩვენ ამის აქ ანუსხვა მოვინდომეთ. რადგანაც ბევრს ალაგას და ბევრს შეძლებულ ქართველის სახლის წინ რომ მიბძანდეთ, თქვენ ვერ მოახერხებთ და კარს ვერავის გაალებინებთ. გინდ მთელი დღე რომ ზარი რეკოთ, მაინც არა გაგიღებენ. ისინი თავიანთ ყალიბის კაცს იცნობენ, სხვასთან მათ საქმე არა აქვსთ, რაც გინდ გაჭირვებული იყოს, რაც გინდ პირქვე დამხობილი, იგი მაინც მათ ხილვას ვერ ელირსება. სახლში არავის მიიღებენ, კარს არავის გაუღებენ და გინდ გაუღონ, მაინც მაშინათვე უარს სტკიცვენ, ბატონიშინ არ არისო. ასეთ გმირ პირებისაგან საქართველოს შესახებ ყვირილი და ღრიანცელი კი ერთობ ხშირია: „გაუმარჯოს საქართველოს“ უხვათ იკიან, ჭახ-ჭუხიანი სიტყვების სროლა, დახმარებაზედ საუბარიც ძრიელ უყვარსთ, მაგრამ სულ ოსტატურად, გარეგნობით, მოტყუებით და არა ისე როგორც ეს გიორგი დავითის ძემ იცოდა. გიორგი დავითის ძის ყველა სასიკეთო მხარეების ანუსხვით ჩვენ თავს არავის შევაწყენთ, რაც მოვიყვანეთ, ვგონებთ ისიც საკმარისი უნდა იყოს, მისი თვისების დასახატავათ, რომ იგი ნამდვილი მამულისშვილი იყო და მის კეთილის ფენას საზღვარი არა ჰქონდა. დაუვიწყარის სერგეი მესხის რედაქტორობის შემდეგ გაზეთ „დროება“ ივ. მაჩაბელმა აიღო. ეს იყო რედაქტორად ხოლო გამომცემლად კი გიორგი ქართველიშვილი იქმნა დანიშნული, მან ეს ტვირთი დიდის სიამოვნებით იკისრა და ამისათვის მან საკმარისი ფულიც დახარჯა. ამის შესახებ დიდის თავაზით და პატივის ცემით მოიხსენა ჩვენმა მწერალ-მოღვაწე. ნიკოლოზ ხიზანიშვილმა ერთ წერილში, რომელიც გიორგი დავითის ძის ვარდაცვალების გამო „ივერია“ში დაბეჭდა, ამ წერილში ბევრი რამ იყო სინდისიერად გამოთქმული გიორგი დავითის ძის შესახებ, სამართლიანი დაფასება გახლდათ. ეს წერილი ნათლად ღალადებს გიორგის მაღალს ადამიანობას და ქართულს მამულისშვილობას.

ვიდრე გაზეთი „დროება“ არსებობდა, მინამ გიორგი დავითის ძეს მისთვის თავის მფარველობა არა დროს არ მოუკლია, იგი მას ყოველთვის გარს ეფინებოდა და გაზეთს რომ რამე გაჭირვება მოსვლოდა, იგი მის ამ გაჭირებას სულ არ შეამცნევინებდა. ასეთი თვისებისა იყო გიორგი დავითის ძე და ასეთის მამულის შვილობით ეპყრობოდა დღიურ გაზეთ „დროების“ არსებობის და გამოცემის საქმესა *). ამავ დროს მან დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ისტორიის საქმეს და ისურვა „ქართლის ცხოვრების“ გარეშე ვახუშეტის ისტორიის გამოცემაც. ეს საქმე რასაკვირველია მეტად ძნელი იყო, ჯერ ერთი მიტომ, რომ მას დიდი შრომა დასჭირდებოდა და მეორე ფულიც საკმარისი მოუნდებოდა, ბევრის თათბირის შემდეგ, ისტორიის შრომა, განხილვა, შენიშვნების დაწერა და გარჩევა დიმიტრი ბაქრაძეს აკისრებინა და დასაბეჭდი ხარჯი თვითონ იკისრა.

მალე შეუდგა დიმ. ბაქრაძე ვახუშტის ისტორიის განხილვას, შენიშვნების მიცემას და უკანასკნელ 1885 წელ. იგი საქართველოს რუკით ცალკე წიგნათაც გამოიცა. ეს რუკა შეადგინა ცნობილმა ქართველმა ტოფოგრაფმა ბ. წილოსანმა, ცნობილმა ქართველმა განვითარებულმა პირმა და გ. ქართველიშვილის სიძემ. ამ პირს ამ გვარის შრომით სხვა ამაგიც მიუძღვის ქართველთ წინაშე. ესეთის შენიშვნებით და ესეთის სახით ჩვენის ძველის ისტორიის წიგნის გამოცემა პირველი მაგალითი იყო იმ დროს. სამწუხაროდ ეს ისტორია მხოლოდ პირველი წიგნია, მეორე წიგნი შემდეგ უნდა ყოფილიყოს, მაგრამ ეს ველარ მოხერხდა. რადგანაც გიორგი დავითის ძეს საქმეები სხვა გვარ წაუვიდა და თვით დ. ბაქრაძეც გარდაიცვალა. დღემდე ეს ისტორია ასეა დაუმთავრებელი და ვახუშტის ისტორიის ჩვენ მხოლოდ პირველი ტომი ვვაქვს, რომელიც გ. ქართველიშვილის ნატვრით და საფასით გამოიცა.

*) ნ. ხიზანაშვილის წერილი „ივერია“-ში. 1901 წ.

გიორგი დავითის ძის ქართულს სამწიგნობრო საქმეთა ასპარეზედ მეტად საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს მისგან მდიდრად „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამოცემა და მის გამოცემისთვის რა დიდი ცდა და შრომა. მან ინატრა „ვეფხვის-ტყაოსნის“ უდიდესად გამოცემა და ამის საქმეს მალეც შეუდგა, მისის ნატვრით შედგენილ იქმნა „ვეფხვის-ტყაოსნის“ განმხილველთ რედაქცია, შეკრებილ იქმნა სხვა და სხვა ძველი „ვეფხვის—ტყაოსნის“ ვარიანტები. ამ შეკრებილ ხელთ-ნაწერს „ვეფხვის—ტყაოსნის“ რედაქცია დიდის გულს მოდგინებით შინჯავდა და არკვევდა, ბევრის ცდით და შრომით შესაფერად აღდგენილ იქმნა „ვეფხვის-ტყაოსნის“ დედანი, შემუშავებული, შემოწმებული კარგად და განმზადებული დასაბეჭდათ. ამ კამისიის შრომაზედ გიორგი დავითის ძეს საკმარისი ფული აქვს დახარჯული. ასეთ დასახარჯს იგი სულ არ ერიდებოდა, ოღონდ კი საქმე შესანიშნავად შესრულებულიყოს, დედნის აღდგენის შემდეგ, შესაფერ სურათების თავდარიგს შეუდგენენ, ამისთვისაც დიდათ იშრომეს, კაი ფულიც დახარჯეს, ბევრნაირი სურათები ხატეს, ზოგი ძველის სურათების თანხმად და ზოგიც ახლის მოსაზრების კვალად, ბევრი შრომის, წვალების შემდეგ უკანასკნელ როგორც იქმნა გამოჩენილ მხატვარს ზიჩს აკისრებინეს მთელის „ვეფხვის-ტყაოსნის“ სურათების დახატვა. მხატვარი შეუდგა სურათების ხატვას და რაც კი შეიძლებოდა გიორგი ქართველოვს ამისთვის არავითარი შრომა და საფასი არ დაუკლია, უმეცადინია, რომ ოღონდ კარგად გამოვიდეს, ოღონდ „ვეფხვის-ტყაოსნის“ საქმე კი ევროპიულის ხელოვნურის მხატვროვნების სურათებით ვნახო და რაც უნდა დაიხარჯოს მე ამას არ შევხედავო, ამისთვის მან გადასდო 10,000 მანეთი.

საყურადღებოა აგრეთვე აქ ის მხარეც, რომ გ. ქართველიშვილის ნატვრით „ვეფხვის-ტყაოსნის“ ფურცლები შემკობილ იქმნა ქართულის ძველის სხვა და სხვა ჩუქურთმიანის არშიებით და ყვავილებით, რომელნიც სხვა და სხვა უძველე-

სის ტაძრებიდგან იქნენ გადაღებულნი და მასთანვე სიფრთხილით დაცული და შემკობილი ხელოვანის ოსტატის ბ. გ. ტატიშვილის მიერ. მოკლედ უნდა ითქვას, რომ „ვეფხვის-ტყაოსანს“ ამ გამოცემის მხრით კარგი ისტორია აქვს. ყველა საჭირო სურათების მომზადების და ძველი ჩუქურთმიანი ყვავილების მოჭრის შემდეგ მალე „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამოცემასაც შეუდგნენ. გამოცემა მოხერხდა დიდის სიფრთხილით, წიგნის ყდა ოქროს დავარაყებით და დიდის შემკობით ევროპაში იქმნა გაკეთებული და 1886 წ. ტფილისში გამოიცა შესანიშნავი გამოცემა „ვეფხვის ტყაოსნისა“ რომელ გამოცემაც მთელმა ქართველობამ დიდის ახტაცებით მიიღო.

„ვეფხვის-ტყაოსნის“ სურათებს, ბევრს ალაგას, მცოდნე ქართველთგან ნაკლი შეემცნა და ეს ნაკლი ჩემთვისაც-კი უცხო იყო. ამაზედ იმავე დროს გ. დავითის ძესთან საუბარიც გქონდა და წარმოიდგინეთ, რომ თვით მანაც დიდი საყვედურები ალიარა სურათების ზოგს არშესაფერს გარეგნობაზედ. მაინც ესეც კარგი შრომა არს.

ასეთის დიდის შრომის, ფულის დახარჯვისათვის გიორგი დავითის ძეს ყველა დიდს ქებას და ახტაცებას უძღვნიდა. ჭეშმარიტად რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყოს, გიორგი დავითის ძე რომ არ ყოფილიყოს, უიმისოდ ეს წიგნი დღესაც დაუბეჭდავი იქმნებოდა. საქებია გიორგი ქართველიშვილი მით უფრო, რადგანაც ეს ძვირფასი გამოცემა თითქმის მთელს ევროპის სამეცნიერო წევრებს უფასოდ დაუგზავნეს, ბევრის უცხოეთის წარჩინებულ მეცნიერ პირებისაგან მოუვიდა მის გამო მადლობის წერილები, ისევე გამოუგზავნეს მას სხვას და სხვა ევროპის სახელმწიფოთა მეცნიერ და მსწავლულ კოროლებმა და მათმა შვილებმა. 1887 წ. საქართველოში გახლდათ იმპერატორი ალექსანდრე მესამე თავის მეუღლით, მიტომ გ. ქართველოვის დავალებით „ვეფხვის-ტყაოსნის“ შინაარსი რუსულად იქმნა გადათარგმნილი და ცალკე წიგნად დაიბეჭდა, რომელ თარგმანი და „ვეფხვის-ტყაოსნის“ ორი წიგნიც თვით

გ. ქართველოვმა მიართვა იმპერატრიცას, ვისგანაც მან დიდი მადლობა მიიღო და თან კიდევ ძვირფასი ბეჭედიო. ბეჭედი რასაკვირველია ძღვნად იყო, მაგრამ გიორგი დავითის ძე იმპერატრიცას სიტყვიერ მადლობას უფრო დიდს პატივს სცემდა და დიდათ უხაროდა, რომ ,,ვეფხვის-ტყაოსანი'' დიდათ მოეწონათო.

ეს იყო ჩემი ნატვრა და წადილი, რომ უცხო სტუმართათვის ერთი კარგი ქართული წიგნი მაინც მიგვერთმევინაო. მართლაც ჭეშმარიტად, რომ ,,ვეფხვის-ტყაოსანი'' კარგად არის დაბეჭდილი, მასზედ დიდი შრომა არს დახარჯული და დიდი ფულიც დამჯდარი. გ. ქართველიშვილისაგან ამ გამოცემის შენიშვნა გვაუწყებს, რომ პირველად ეს აზრი სურათეანის „ვეფხვის-ტყაოსნისას" დაბეჭდისა დაიბადა მაშინ, როდესაც ინნა მეუნარგიას თანხმობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან.'' დიახ, ეს ასე იყო, მაშინ დაიბადა ეს აზრი, ხოლო ვის ეკუთვნის იგი, ვინ მოისაზრა მის გამოცემა უპირველესად, ამაზედ კი სიტყვაც არ არის ნათქვამი და ამიტომ ჩვენ ვიტყვით აქ, რომ მდიდრად გამოცემულ ,,ვეფხვის-ტყაოსნის'' გამოცემის აზრი პირველად გ. ქართველიშვილს დაებადა, მან ინატრა მის გამოცემა და მიტომაც იყო, რომ 10,000 მან დახარჯა, ამ წიგნის გამოცემით გ. დავითის ძეს ჩვენს მწერლობას, როგორც ზემოთაც ვსთქვით, კარგი განძი შესძღვნა და ,,ვეფხვის-ტყაოსანსაც'' რასაკვირველია უფრო მეტი პატივ საცემი ზომა აღმოუჩინა.

გიორ. ქართველიშვილს, როგორც ქართველის დიდი სიყვარული და ტრფიალება ჰქონდა საქართველოსი, ქართული ძველი და ახალი მწერლობის და ნამეტურ ისტორიულის მწერლობის, ,,ვეფხვის-ტყაოსნის'' გამოცემით, მან კარგად ნახა, რომ ქართველებში წიგნების გამოცემის საქმე მეტად ძნელი საქმე არი, ხშირად გამომცემელი აქ ისე ღუპავს წიგნში დანახარჯს ფულს, რომ უკანასკნელ იგი დანახარჯის მეათედსაც ვერ იღებს, გარდა ამის აქ მეწიგნეებიც ღალატობენ

და გამომცემლებს განაყიდ წიგნების ფულს არ აძლევენო, ამიტომ ძველი და ახალი საჭირო წიგნების საბეჭდავათ საკუთარი სტამბა უნდა გვქონდესო. უკანასკნელ დროებში გ. ქართველიშვილი სულ ამაზედ ფიქრობდა, თორემ ბევრი რამ ძვირფასი წიგნები ვერ ნახვენ მზის სხივებს, ბეჭვდასაო. ამიტომ მან ამის შესახებ „წერა-კითხვის სამართველოშიაც“ აღძრა კითხვა და საზოგადოებას მიმართა, რომ ეს საერთო სავაჭრო საქმის მეთაურობა თქვენ იკისრეთ, თქვენ მოჰკიდეთ ხელიო.

განსვენებული ამ საქმისათვის ისე იყო მოწადინებული, რომ მის თანხის დასაარსებლად „წერა-კითხვის სამართველოს“ შესწირა თავისაგან მიერ გამოცემული ვახუშტის ისტორიის მთელი გამოცემა, თითო წიგნი 3 მან. ღირს, წიგნთა რიცხვი მრავალია, ესევე შესწირა ძვირფასად „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამოცემა, რომელიც დღეს ეგზემპლიარი 10 მან. იყიდება. ეს გამოცემაც მრავლად არის, ამას გარდა საზოგადოებასვე შესწირა „ვეფხვის-ტყაოსნის“ სურათების ყველა კლიშეები, რომლითაც რასაკვირველია განსვენებულმა მეტად დიდი საქმე ქმნა, დიდი სამახსოვრო ხსოვნა დასტოვა როგორც ქართველთ წიგნაში, ისევე ხსენებულსავე საზოგადოების ისტორიაში. იმედია, რომ ასეთის საქმეების გამო გ. ქართველიშვილს არ დაივიწყებს ქართული სიტყვიერების ისტორია. გ. დ. ქართველიშვილს მოიხსენებდა ვითარცა ქართველს მწერველს, ვითარცა მამულისშვილს, მოღვაწეს ბევრს კეთილს საქმეებში, წევრს თითქმის ყველა ქართულის დაწესებულებისა, მასთან მკეთებელი ბევრის საზოგადო საქმეთა შენობების, როგორც დამხმარე შეუძლო ოჯახებიხ და ღატაკ მოსწავლეების, ქართული ენის და მწიგნობრობის მოყვარეს, როგორც გაზეთ „დროების“ გამომცემელს და მასთანვე ქართული წიგნების მბეჭვდელს. რამდენათაც გ. ქართველისშვილი ამით დაფასდება, იმდენზედ მეტად უფრო თავის საკუთრის მამულისშვილობით, სუფთა მოქალაქობით, საქართველოს მაღალის

სიყვარულით, ქართული ენის ბედნიერების ძებნით. მთელი თავისი დღენი ამ პატიოსანმა გვამა თითქმის ისე დაასრულა, ისე დამთავრდა თავის სიცოცხლის დღენი.

ეს რომ მართალი გახლავსთ ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ იგი გარდაიცვალა მგლოვიარებაში მყოფი და აღშფოთებული სწორეთ ისეთ დროს, როცა მართლაც და ყოველი ქართველი მგლოვიარე და აღშფოთებული უნდი ყოფილიყოს. უკანასკნელად გ. ქართველისშვილის სიტყვამ და გარდაცვალებამ ნათლად დაგვიხატეს ის გარემოება, რომ გ. ქართველისშვილს საქართველო და ქართველობა დიდათ ჰყვარებია, ჰყვარებია არა მარტო ცარიელი ლიტონის სიტყვით, არამედ საქმით, მთელი მისი სიცოცხლე იყო საქმე, საქმიანობა, ე. ი. შრომა და ამ ჭეშმარიტ საქმიანობითაც დააგვირგვინა თავის ადამიანური მოვალეობა, მამულისშვილობა.

რაც შეეხება გიორგი ქართველოვის სწავლა განათლებას და მოხერხებას, იგი იყო ზოგადი არსება იმ დასჯისა, რომელთა დაბადების დრო 1830 წლებს მიეწერება, თვის თანამედროვეებში იგი იყო უპირველესი ადამიანი, ადამიანი ბევრნაირის ღირსებით დაჯილდოვებულ შემკული და მასთანვე ცნობილი არა მარტო ქართველის საზოგადოების წინაშე, არამედ მთელს კავკაზიაშიაც და ნამეტურ მთავრობის წინაშეც. მთავრობა მას იცნობდა როგორც საუკეთესო, პატიოსან ქართველ მოქალაქეს, ქართველ სწორე ჭეშმარიტს ადამიანს და ამიტომ იგი კარგის აღებ-მიცემის და სხვა და სხვა საქმეთა კარგად შესრულების გამო ღირსეულის ნიშნებითაც იქმნა დაჯილდოვებული.

თვით გიორგი დავითის ძე იცომდა ქართულ ტანთ-საცმელს, ქართულს კაბას, ძველებურად. მისის ნახვით კაცს თვალთ წინ წარმოუდგებოდა ძველ მოქალაქური ხანა ქართველთა, რომელთა რიცხვი 1840 წლამდე კიდევ სახილველი იყო და დღეს კი ეს ერთობ იშვიათია. გიორგი ქართველიშვილი გარდაიცვალა 20 სექტემბერს 1901 წ. ქალაქ თბი-

ლისს, თავის საკუთარ სახლში, იგი დასაფლავებულ იქმნა თვისგან მიერ აღშენებულ დიდების ტაძარში თავის მეუღლის გვერდით, განსვენებულს გარდაცვალების დროს, მთელმა თბილისის ქართველობამ აგო შესაფერი პატივი.

ზოგი ერთი ბატონები გაიძახოდნენ და სწერდნენ კიდევაც, რომ ქართველ ერს არც ვაჭრობის შნო აქვსო, არც მრეწველობის და არც სამეურნეოს ნაწარმოებთა წარმოებისაო. ეს რასაკვირველია ოცნება გახლავსთ და ასეთ პირთა ოცნება ასეთ უჯერო მოსაზრებას რასაკვირველია უადვილესად განფატვენ. გიორგი დავითის ძის კაცებისთანა ცხოვრება და მათი აღწერა და წაკითხვა. გ. ქართველოვი და მისთანები ჩვენი მრეწველობის და აღებ-მიცემის ასპარეზს ფეხდა ფეხ მისდევენ, კვალში უდგებიან და ხან მეთაურათაც ხდებიან, ამიტომ ჩვენც მოვალენი ვართ, რომ ასეთ კაცთა მოქმედებას, ნაბიჯს და შრომასაც ჯეროვანი ყურადღება მივაპყრათ. ქართველ ვაჭარი, მათ ხელ-ქვეით და სხვათა ამ გვარ პირთა საგულისხმოდ მე თამამად ვასახელებ გ. ქართველისშვილის ცხოვრების და იმ მოძღვრებით განმარტვას, რასაც განსვენებული ქართველთ მრეწველთ და ვაჭართ ცხოვრებაში ხედავდა უაღრეს სავალდებულო საჭიროებათ და რაც ჩვენც ზემოდ მოვიყვანეთ. უეჭველია განსვენებულის ამაგადარს შეხედულებას თავისებური ღირსება და მნიშვნელობა არ მოაკლდება და იგი დიდხანს დაშთება ქართველთ ვაჭარნ, მრეწველთა და მათ ხელქვეითდა სახელმძღვანელოდ. ეს ხელმძღვანელობა არის ჩვენი აუცილებელი საჭიროება. თუ ასეთ მოძღვრებას და შენიშვნებს ქართველნი უყურადღებოთ დასტოვებენ, მაშინ რაღა ფიქრი უნდა, რომ ძალიან ადვილათ შეიძლება, რომ ქართველთ შრომა ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზედ უშნიშვნელოდ დაშთეს, ვერაფერი გავაწყოთ, ცხადი საქმეა, რომ ეს ასეც იქნება, იქრა გაკეთდება, თუკი მკეთებელთ ერთმანერთის გატანა არ ექნებათ, ერთმანეთის პატივის-ცემა, პურ-მარილის ხსოვნა და სიყვარული. ბევრს ალაგას, ბევრს კარგს ქართველ ვაჭარს

მოელო ბოლო მისის დახლიდრების შეოხებით, ბევრს ალაგას გაწყალდა და მოისპო კარგი სავაჭროები დაუნახავ უპურმარილო დახლიდრის და მოსამსახურეებისაგან. ესეთი უბედური შემთხვევები ქართველებში ერთობ ხშირია და ვიდრე ჯ, ქართველისშვილის შეხედულების და ქადაგების თანხმად ჩვენში არ აღორძინდება ის მიმართულება, რასაც გ. ქართველიშვილი ქადაგებდა, უამისოდ ყოველივე ამაო იქმნება და ტყუილათ დანახარჯი. მაშასადამე ჩვენს უპირველეს ვალს უნდა შეადგენდეს ვაჭრობის ასპარეზედ ერთმანეთის ცნობა, დაახლოვება და ერთობით სიყვარული, რასაც გ. ქართველისშვილის ენაც ხშირად გვარიგებდა და ამ დარიგებისათვის იგი გვემუდარებოდა კიდეც.

ახალის ეკონომიურის მოძღვრებთ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერც ერთი კაცი სიმდიდრით ვერ წავა ისე წინაო, რომ მან ამ სიმდიდრისთვის სხვისი ძვლები არ ამოხრას და ათასი და ორი ათასი ლატაკის შეუძლოს დღენი არ ინაცვალოს და არ შეიწიროსო. ევროპაში მართლაცა ეს ასეა და იქ ყოველი პირის სიმდიდრე საწყალი კაცის გამხმარის ძვლებიდგან შენდება, ამ ჰაზრის არიან როგორც ძველის ეკონომიურის სკოლის მწერალ-მეცნიერნი, ისევე ახალ დროისანი. სენ-სიმონმა სიმდიდრეს სახელად ხალხის ძვლებიდამ განაწოვი ძალა უწოდა, ანუ ლაფის ტაძარი, პრუდონმა ქურდობათ ჩათვალა და სხვებმა კიდევ სხვაფერ ახსნეს, ყველა კი ამ კერპების ტაძარს გმობით უცქერდნენ და სამართლიერადაც სჯიდენ, რომ სიმდიდრე არის საწყალთაგან წანატაცი, ანუ გაცარცული ნაცარცვიო, ევროპაში ეს ასეა, მაგრამ ჩვენში კი სულ სხვა პირის და ნამეტურ გიორგი ქართველოვის გვერდით. ამ პირის ცხოვრება ისე წავიდა წინა, მისი მოქმედება და საქმიანობა ისე სწარმოებდა რომ მას თავის დღეში, თავის სიცოცხლეში არც ერთს ლატაკს წრესა და წოდებასთან არავითარი კავშირი არა ქონია, მას ამ საწყლების გამხმარის ძვლებიდან არაფერი სიმდიდრე არ უშოვნია და უწუწნია. მისი შეძლება

შემდგარ და შეძენილ იქმნა უფრო ისეთ საქმეებისაგან, რომელთანაც საწყალ ხალხს არავითარი კავშირი არა ჰქონდა, და თუ ქონდა მაინც და მაინც ვისმეს ამასაც უფრო თავის სარგებლობის გამო, და არა ისე, როგორც ეს ევროპაში არის, რომ ყოველ მდიდრის შეძლება საწყალოთა გამხმარის ძვლებიდგან შენდებაო.

გიორგი ქართველიშვილი ასეთ ოსტატობას და უადამიანობისაგან ერთობ შორს იდგა და მის შეძლების ასპარეზედ ძნელად რომ ვისიმე შეუძლო პირთა სხეულის სხვერპლთა შემწეოველობა მომხდარიყოს. როგორც ზემოთაც ვსთქვით ვერც ერთი ხელოსანი და ვერც ერთი მუშა თვით გ. ქართველიშვილისა, რომელთაც უფრო კარგათ იციან მისი ცხოვრება, ვერ იტყვიან ამის საწინააღმდეგო სიტყვას, ნაცვლად ამის გ. ქართველიშვილი ყოველთვის დიდი მფარველი იყო საწყალი შეუძლო კაცისა და იგი ამ შეუძლო ერთათვის უკანასკნელს კაპეიკსაც კი არ იშურვებდა.

ამითი საქმეა გ. ქართველიშვილი და მასთან მთელი მისი მოქმედება, რომელსაც და მართლა მთელის თავის მოქმედებით სიკეთის მეტი სხვა არაფერი მოუტანია. ვერც ერთი მუშა, ვერც ხელოსანი და ვერც სხვა ვინმე, რომელსაც კი უმუშავნია მასთან ის ვერ იტყვის, რომ მისთვის გ. ქართველიშვილს რამე მეტი გამოეგლიჯოს და წაერთმიოს, ნაცვლად ამის გ. ქართველიშვილის მეოხებით ბევრს ლატაკს ქართველს ხელოსანს და მუშას გაუმაგრებია წელი, ბევრი გამოსულა ცხოვრების ასპარეზედ საკმარისის შეძლებით და შნოთი. ასეთ ფეხზედ დაყენებულთ და ფეხ გამაგრებულთ მუშათ და ხელოსანთა რიცხვი დღეს ჩვენში ერთობ მრავალია და იგინი გ. ქართველიშვილის ამაგსაც არას დროს არ დაივიწყებენ. თუ ამას იკითხავთ ახლა თუ მან რითი შეიძინა თავის ქონება თუ არ ცნობილის ტაციობითაო? ამაზედ ჩვენ ვიტყვით რომ მის მაძიებელმა იქნიოს მცირე დუმილი, საქმის დაკვირვება და ის მაშინ ამაზედ ცხადათ დარწმუნდება, რომ

გიორგი ქართველისშვილის სიმდიდრე სულ სხვა და სხვა ისეთის წყაროებიდამ უნდა იყოს შემდგარი, სადაც ქართველ გლეხთა შრომას და წაგლეჯას არავითარი კავშირი არ უნდა ქონდეს. ამის უტყუარი საბუთია ძველი ცხოვრება გ. ქართველისშვილისა და სწორეთ ეს დიდი საბუთიც ამაღლებს მას.

გლეხთა და მუშათ შესახებ როგორც ვსთქვით გიორგი დავითის ძე იყო მეტად საუცხოოვოს თვისების, მას თავის შეძლების დაგვარად სწამდა ამაში ბედნიერება. ეს რომ მართალია, ამას ცხადათ ამტკიცებს შემდეგი სამაგალითო გარემოებაც: უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის დროს, გიორგი დავითის ძეს, როგორც მხნესა და სანდო პირს, ეთავრობამ მიანდო კავკავის გზით რუსეთიდგან საქართველოში ფქვილის და ასეთ სურსათის გადმოტანა. გიორგი დავითის ძისთვის საჭირო იყო ურმები, ურმები რასაკვირველია კარგად მოწყობილი უნდა ყოფილიყოს. ამ საქმისთვის მან თფილისის ახლო-მახლო სოფლებში მოძებნა ქართველი ლატაკი უსაქონლო გლეხები; ქართველები, მათ მოელაპარაკა, საქმის ვითარება შეატყობინა, გლეხებმა ყოველივე მოისმინეს, ინატრეს საქმის აღება, მაგრამ რადგანაც ლატაკნი იყვნენ და საქონელი არ ებადათ, ამიტომ დავალებას ვერ ასრულებდენ. გიორგი ქართველოვს გლეხების ასეთმა გარემოებამ ძალე დააფიქრა: ეან მათ უყიდა ხარ-კამეჩი, კარგი ურმები გაუკეთებინა და უთხრა ასე:

— ეი ეს საქონელი, ესეც ურმები, წადით, ღმერთმა გიშველოთ, იმუშავეთ, გაემგზავრეთ, კავკავს, გადმოსატანი გადმოიტანეთ და მერე ვიანგარიშოთ რაც ამ საქონელს და ურმებში მიცემულს ფულს გარდა კიდევ გერგებათ რამე, იმასაც მერე მიიღებთ.

ღარიბ მეურმეთა სიხარულს საზღვარი არა ქონდა, ლოცავდენ გიორგის, დღეს. ესენი მალე წავიდნენ კავკავისკენ და დავალება პირნათლად შეასრულეს, მალე ყოველივე ჩამოიტანეს და ჩააბარეს. საქმის ჩაბარების შემდგომ, იანგარიშეს და გლეხებს ფულიც ერგოთ, რაზედაც დიდათ მოხარულნი დაშ-

თენ და გიორგის სახელსაც ლოცავდნენ. ასე და ამ გვარად გიორგის მეოხებით რამდენსამე ქართველთ ღატაკ გლეხებმა პირში სული ჩაიდგეს და ოჯახებისთვის ხარ-კ მეჩენი და ურმებით დაჯილდოვდნენ, იგინი ამის საშუალებით ცხოვრებისთვის მოწყობასაც მიეცნენ და მომავლისთვის წელში გამაგრებაც იწყეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მაგალითები გიორგის ცხოვრებაში ერთობ მრავალი იქმნება.

გიორგი დავითის ძეს მთელს თბილისში იცნობდნენ ვითარცა კაცთ მოყვარეს, მართალს და დიდს სიმარჯვლის მქონს, ამიტომაც იყო რომ იგი ქ. თბილისს, ერთ ხმად და თანხმად აირჩიეს თბილისის ობოლთა გამგეობის მზრუნველად სადაც და მართლაც ძველთაგანვე დაკარგულიყო ჭეშმარიტ სიმართლე. ეს საზოგადოება იმ თავიდგანვე ასცდა ამას, რადგან გამგე პირთა წყალობით ობოლთა საკმე ყ ელთვის გლეჯასა და ცარცვას იყო მიცემული. გიორგი დავითის ძემ ამ სამართველოში რამდენხამე ხანს დაყო, და ამ ხნის განმავლობაშიც მან სრული პატივის ცემით დაიმსახურა. ამის დროს, საუბედუროთ, ობოლთა სამართველოში უფროსად ირიცხებოდა ერთი ისეთი პირ, რომელიც ობოლთა ფულებს ულმერთოდ ფლანგავდა. ამ გაფლანგვის ამბები მთელს თბილისში მოიფინა, ამ პირის ულმერთო გაფლანგვამ ბევრს ალაგას ყელი გამოსჭრა საბრალო ობლებს, მცირე წლოვანთ, გასათხოვარ უპატრონოებს, ისეთ უპატრონოებს, რომელთა სიცოცხლის ბედი და უბედობა მათს უკანასკნელ გროშებზედ იყო დამოკიდებული. ყველა ეს უბედურობა გიორგი დავითის ძემ კარგად იცოდა და ამიტომ იგი ყოველგან ობოლთა მხარეს იკავებდა, ასმენდა ულმერთა პატრონებს, და მზრუნველებს, რომ თავიანთ ობოლთა ქონებისთვის უპატრონებინათ. ბევრმა მოახერხა და თავი დაახწია ბოროტების კლანჭებს, ბევრმა კი ვერ მოასწრო, ვინც მოასწრო ისიც რასაკვირველია გიორგი დავითის ძის წყალობით. ვისაც კი მისწვდა ამ პატიოსანი კაცის ბაგე, იმან შეისმინა ცნობა და თავს უშველა და ვისაც

ვერ მისწვდა ეს პირი და მან არაფერი შეიტყო ის მსხვერპლი გახდა პატიოსანის მოქალაქე განათლებულის შვილის, რომელიც ევროპიულს ტანთ-საცმელში მორთული, ოქროს სამაჯურები და საათით და ცილინდრით გამოჭიმული მოსამართლის სკამზედ გამოჭიმეს და რომლიც ობოლთა ღალატის გამო ციმბირს წაბძანდა. იქმნება ამის ციმბირს წასვლა შვება უნდა ყოფილიყოს მის, არა მგონია, უბრალო უნდა იყოს ამის ფიქრი, მას თან მისდევდა მრავალთ უძლურთ და ობოლთ მწარე ცრემლი და წყევა, კრულმა, რომელსაც ვგონებ თვით სამარეც კი ვერ მოასვენებს. აი ასეთ ჯადო და გულღვიძლ დაშხამულ პირებთან უხდებოდა ყოფნა გიორგი დავითის ძეს და მათან თვისი პატიოსანი გრძნობების მოშხამვა და მოწამლვა. სულ ასეთი ჯადოქარ პირებს მეოხება იყო, რომ გიორგი დავითის ძე, თვით უკანასკნელ დროსაც კი თვისის სიცოცხლით მოშხამულ იქმნა ერთის პირისაგან, მაგრამ მან მაინც როგორც შორს მიხვედრილმა კაცმა, თავისი მხვედრი გაიტანა, ყოველი ამაოება სოფლისა დაითმინა, ამხანაგთა და მტერთა მახვილსაც სულ მაგრად დაუხვდა. და უკანასკნელ თუმცა დიდის სხვერპლთა შეწირულებითაც კი, მაგრამ მან გვასწავლა თავ-განწირული მუდმივი შრომა და ღწვა და მასთან არ დავიწყება ჭეშმარიტების და დიდის მამულისშვილობის, რაც ყოველთვის უკიდურეს განწირულებაში მყოფთ პირსაც უნდა აქვნდეს, იგი ამაგრებს მას და უკანასკნელ ასეთ პირთა ცხოვრების მომავალსაც საუკეთესოს მხრებით ფარგლავს და სინიდისიერს მამულისშვილის სინიდისიერივე გარემოება ფლობს მკაცრათ, მას ვერ ლახავს ვერც მტრის მახვილი და ვერც ზარაღი, ვერც სხვა ამ გვარ უსამართლოდ მონარუქებული საქმენი, რომელნიც ყველგან ყველა უგმირეს მამულისშვილებთაგან გმობილ უნდა იქმნეს და რომლის უტყუარს მაგალითს წარმოგვიდგენს გიორგი დავითის ძის მამულისშვილური მოქმედება და მაგალითები. ამიტომ ქართველთ წინაშე გიორგი დავითის ძის სანაქებო მაგალითები და მისა-

ბაძი მხარეები მეტად დიდხანს დაშთება ქართველთ წინაშე და იგი ბევრს ქართველის სულსა და გულსაც განაცხოვ-ლებს, რაც რასაკვირველია გიორგი დავითის ძის ხსენების ჯილდოდ უნდა ჩაითვალოს.

დასასრულს უნდა ითქვას შემდეგი: გ. დავითის ძე, რო-გორც ვსთქვით კიდევაც და ბევრს სხვებსაც უთქვამსთ, იყო დიდი მახვილ გონიერი კაცი, მას ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ქართველი ერის ცხოვრების შესახებ. ვაჭრობა, მრეწველობა, და მასთან სხვაც ბევრი რამ ასეთის დარგისა მეტად დიდს საჭიროებათ მიაჩნდა. იტყოდა ხოლმე: ქართველი ერი, ღღეს უკვე გამოვიდა თვალ ხილულობის ასპარეზზედ, მათში ვაჭ-რობის სხივმაც გაიელვა და იმერთ გარეშე ქართლელთაც აწყეს გამოსვლა და თვალის გახილება, საითაც კი გაიხედავთ მადლობა ღმერთს, ყველგან შეიტყობთ, რომ ქართველ ერს არ სძინავსთ, იგინი საქმის და მომავლის წარმატებას ელიან, ყველგან ეტყვიან ქართველს რომ იგი აღებ-მიცემის ასპარეს-ზედ ახლად იწყებს აღორძინებას ამიტომ საჭიროა და თან მეტად სანატრელიც, რომ ქართულს ენაზედ რუსულის ენიდამ ითარგმნოს საბუჰგალტერიო წიგნები, საკომერციონი და ქართულათაც დაისტამბონ, რომ მის საშუალებით ქართველთა ახალ აღებ-მიმცემთ სახსარი მიეცეს წინ წასვლის, წარმატე-ბის, კარგად საქმის შესწავლის და ვაჭრობის და მრეწველო-ბის ასპარეზზედ თამამად გამოსვლის. უამისობა ჩვენგან არც შეიძლება, რადგანაც ჩვენ კარგად ვიცით, რომ მთელი ევრო-პის ერი ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ მხოლოდ ამ გზით წავიდა წინ, ამით გაახილეს მათ თვლები და ჩვენც რასაკვირველია ასე უნდა მოვიქცეთ, ისეთი წიგნები უნდა ითარგმნოს და დაიბეჭდოს ქართულს ენაზედ რითაც ჩვენი ტომის ძეთა გონება კარგის აღებ-მიცემის ცოდნით შეიმოსება, ქართველი თავის სამშობლოში ევროპიულს მცოდნე ვაჭრად, ხელოსნად და მუშად გახდება. ქართველი თუ საქართველოში არ განკაცდა და დაწინაურდა, შესაძლებელია, რომ ის სხვა-

გან სულ ვერ გამოდგეს, იქ ცხოვრების სახსარიც კი ვერ მოიპოვოს, კაცი ის არის, ვინც თავის ქვეყანას გარეშე სხვაგანაც კეთილად დაირჩენს თავს და თავის ტომსა და ქვეყანასაც ასახელებს. უამისოდ კი კაცი არაფერი იქმნება და შინ უვარგის შეიძლება რომ კარშიაც უვარგისი დარჩეს, ამის სახსრად და წამლად მე მწერლობა და სასწავლო წიგნები მიმაჩნიაო, იტყოდა ხოლმე:

წავიდა იმისი დრო, როცა ქართველის კაცის აღებ-მიცემა ორის ძველის დავთრით სწარმოებდაო. ეხლა აღარც ის დრო არის და აღარც ის ანგარიშები გამოდგებაო. ამის სამკურნალოდ არამც თუ მარტოდ წიგნებია ქართულს ენაზედ საჭიროო, არამედ თვით კომერციული სკოლაც, რომ აქ მოზარდ თაობამ იაროს და აღებ-მიცემის ვითარება შეიტყონო. ასეთ წიგნებთა თარგმნის საჭიროებას დიდი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს თვით ჩვენგანაც, რადგანაც ქართულს ენაზედ ასეთის წიგნების სრულიად არაფერი არსებობს. ნუ თუ ამის დრო არ მოვიდაო, იტყოდა ხოლმე განსვენებული. მოსვლით კი მოვიდა, მაგრამ პატრონი არ არის, რომ ამ საჭიროებას მხარეს ყურადღება მიაქციონ და პატრონობა გაუწიონო.

ვგონეთ, განსვენებულის ნატვრას განმარტება აღარ მოუნდეს, რადგანაც ყოველი მისი სიტყვა და ჭეშმარიტება ნათლად ლალადებს გიორგი დავითის ძის მაღალს მნიშვნელობას და მამულისშვილობას ასეთ მოსაზრებაში. გ. დავითის ძეს ცალი არ ჰყვანდა და იგი სამაგალითო იყო ყველას წინაშე. ეჭვი არ უნდა, რომ ბევრი დრო გავა და გ. ქართველოვის ნატვრას კი ფრთები არ შეეკვეცება, იგი ქართველის ერის ცხოვრების ასპარეზზედ ცხოველად დაშდება და თავის კვალად სარგებლობასაც მოიტანს. ეს იყო გ. დავითის ძის ნატვრა და ესენი მოისმოდა ნატვრით მისის გულის სიღრმიდან. მისი შორს-მჭვრეტელობა ყველასთვის ცხადი ხდება და მიტომაც არს, რომ ამ საჭიროებას და ქართველი ერის ნაკლს ყველა შესმენილი ქართველიც კარგად გრძნობს და მასზედ

947.922
К551

მწუხარებით ლაპარაკობს კიდეც. უმთავრესად კი ყველა ამ ნაკლთა მიხვედრის მცნება გ. დავითის ძეს ერთობ ადრე დაებადა, ამაზედ მან სჯაც იცოდა და მასთან ნატვრა, რომ ქართველმა ერმაც თვალი გაახილოს ვაჭრობის ასპარეზზედ ნათელის მცნებით გამოვიდეს და განკაცდესო. ამას ფიქრობდა განსვენებული ყოველთვის და ვგონებთ, რომ ჩვენც ამას უნდა ვფიქრობდეთ.

947.922
ქ 551

ზ. ჯიჯინაძე

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 30 №-რი.

ფასი ოქრი შაური.